განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 24 იანვარი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 09 მარტი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 291514, 13.03.2021;

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ილია წიკლაური, კავკასიის საერთაშორისო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 დონეზეა, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება, როგორც „სამართლის მაგისტრი“.

სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 120 (ECTS), საიდანაც სავალდებულო სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 30 კრედიტი (წარმოდგენილია 6 (ექვსი) სასწავლო კურსით), სავალდებულოა პრაქტიკული კომპონენტი 30 (ECTS) კრედიტის ოდენობით, რომელიც ხორციელდება პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში. პროგრამის კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (30 (ECTS) კრედიტი).

პროგრამაში, ასევე, წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით, საიდანაც სტუდენტს 10-10 სასწავლო კურსიდან შეუძლია აირჩიოს მისთვის საინტერესო საგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაზიარებულ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევა გათვალისწინებულია და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობად, დამატებით, დადგენილია არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 (ECTS) კრედიტის დაგროვება სამაგისტრო ნაშრომის თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2022 წლის 24 იანვარს, ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა Zoom-ით) საშუალებით. ვიზიტამდე დაიგეგმა დისტანციური წინამოსამზადებელი შეხვედრა, რომელზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაუზიარეს ერთმანეთს დასაზუსტებელი საკითხები და მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით; ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა კონკრეტული დავალებები. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. ამასთან, უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა, მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომები

სხვადასხვა შეფასებით, რეცენზენტთა დასკვნები, პრაქტიკის დღიურები, ცენტრალური ბიუჯეტის დოკუმენტი, დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი და ა.შ. უნივერსიტეტმა მიაწოდა ექსპერტებს დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები.

ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე, ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენაში. ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. უნივერსიტეტმა უზრუნველყო ინტერვიუების გამართულად წარმართვა.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. განიმარტა უნივერსიტეტის ფუნქციონირებასა და პროგრამის შემუშავება-განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტი.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განიმარტა სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელზე შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და განიმარტა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტი.

მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას აკადემიურ პერსონალთან, შედგა ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან, დისტანციურად განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ბოლო პანელი დაეთმო შეხვედრას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის დეკანთან. ინტერვიუ წარიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მათ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის სამაგისტრო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის სტანდარტებსა და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ვიზიტის შედეგების განხილვისა და გაანალიზების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამა ძირითადად შესაბამისობაშია კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივ მახასიათებელთან და მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ:

№	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
4.	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
5.	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია სტანდარტებთან**

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნის პროექტი 5.1. ქვესტანდარტთან დაკავშირებით ითვალისწინებდა რეკომენდაციას შემდეგი სახით: „მიზანშეწონილია, უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) დებულებები შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აღნიშნული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი იყო შემდეგი გარემოება: მართალია, გამოვითხოვეთ გარკვეული დოკუმენტაცია და მათი ნაწილის გასაცნობად აუცილებელი იყო როგორც მომხმარებლის სახელი, ისე პაროლი, მაგრამ **ვინაიდან მხოლოდ მომხმარებლის სახელი მივიღეთ, დოკუმენტაციის ნაწილი ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის შესწავლისას** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების **ინსტრუქციაში გამოიკვეთა შემდეგი უზუსტობების გასწორების საჭიროება:**

- უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის (დანართი 4-EP-QA 1.1) მე-2 პუნქტის (პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია) 2.3 ქვეპუნქტში მითითებულია: „პირველი საფეხურის საგანმანათ-ლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – **„შუალედური კვალიფიკაცია“,** მიმარ-თულების ან/და დარგის/ სპეციალობის მითითებით“. **შესაბამისად, ამოსაღებია ეს ჩანაწერი ინსტრუქციიდან;**
- ასევე, ამავე ინსტრუქციის 2.4 და 2.5 ქვეპუნქტებში **გათვალისწინებული წესები უნდა პასუხობდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის** მოთხოვნებს;
- გარდა ამისა, მოცემული ინსტრუქციის მე-7 პუნქტის 7.1 ქვეპუნქტით დადგენილი **დებულებები (ცოდნა-გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარების, ღირებულებების** შესახებ) **უნდა შეესაბამებოდეს დღეს მოქმედ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს**.

უნივერსიტეტისგან მიღებული არგუმენტირებული პასუხის შედეგად ზემოთ დასახელებულ დოკუმენტაციაში არსებული ცვლილებების გასაცნობად აუცილებელი მომხმარებლის სახელწოდებაც მივიღეთ. შესაბამისად, ამჯერად უნივერსიტეტისგან

შესაძლო ტექნიკური მიზეზით მოუწოდებელი ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომი გახდა. ცხადი ხდება, რომ დასახელებულ დოკუმენტებში ცვლილებები განხორციელებულია აკრედიტაციის ვიზიტამდე. ამდენად, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ზემოაღნიშნული რეკომენდაციის ამოღება დასკვნიდან.

- **რეკომენდაციები**
  - **1.2. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უშუალოდ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან კავშირში გადაიხედოს, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგები ინდივიდუალურად უნდა გაიზომოს და შეფასდეს, ხოლო კონკრეტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კომპონენტსა თუ კვლევით კომპონენტზე. მას შემდეგ, რაც კონკრეტული სასწავლო კომპონენტის მიმართება დადგინდება პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან (შედეგებთან), შემდგომ უნდა დაზუსტდეს, თუ შეფასების რა მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის გასაზომად.
  - **2.3. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, შედეგის სრულად მიღწევის მიზნით, „სამოსამართლო სამართლისა“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი გადამუშავდეს რელევანტური თემატიკის ასახვის გზით.
  - **2.4. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზნობრიობა.
  - **2.5. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან.
  - **2.6. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმთა ურთიერთგადაფარვა აღმოიფხვრას და აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების შესახებ ტერმინოლოგიური უზუსტობები სილაბუსებში გასწორდეს.
  - **3.1. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია, რათა გააღრმავოს და განაახლოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერ-სიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება.
  - **4.1. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, უსდ-მ შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ერთიანი სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახული იქნება სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დატვირთვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ამგვარ სქემაში უსდ-მ

განსაზღვროს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ისინი არიან დასაქმებულები.

- **4.4. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტის ჩამოყალიბება უფრო კონკრეტულად. ბიუჯეტში დეტალურად უნდა აისახოს, თუ რა ხარჯები არის აუცილებელი პროგრამის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად თითოეულ წელზე და ასევე ჯამურად ორივე წელზე, სავარაუდოდ რამდენი სტუდენტი ისწავლის სამაგისტრო პროგრამაზე, რა იქნება პროგრამის ჯამური შემოსავალი თითოეულ წელზე, ორივე წელზე და შესაბამისი ბალანსი.
- **5.3. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, მონიტორინგის ღონისძიებები პრაქტიკაში ეფექტიანად იყოს გამოყენებული, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებული ხარვეზების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხისა და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის, შეფასების მექანიზმებისა და სილაბუსის დახვეწას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - **1.1. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, განახლდეს სამართლის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტის ვებგვერდზე [https://atsu.edu.ge/index.php/business-progs/business-2021-2022].
  - **2.2. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, კურიკულუმის წარმოდგენილ დოკუმენტში, პროგრამის სტრუქტურაში, მე-6 გვერდის პირველივე აბზაცში სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის კრედიტი გასწორდეს და განისაზღვროს 30 (ECTS) კრედიტით.
  - **2.3. სტანდარტთან მიმართებით:**
    - სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და კურიკულუმში აღნიშნული ჩანაწერები სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წინაპირობებთან დაკავ-შირებით შეივსოს და შესაბამისად ჩამოყალიბდეს: სილაბუსში დამატებით დაკონ-კრეტდეს დაშვების წინაპირობად სტუდენტის მიერ 20 (ECTS) კრედიტის დაგროვება არჩევითი სასწავლო კურსებიდან თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით.
    - სასურველია, რამდენიმე სასწავლო კურსის („შედარებითი საკორპორაციო სამარ-თალი“, „სამოსამართლო სამართალი“, „ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკული ასპექტები“, „საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“, „საგადასახადო სამარ-თლის პრაქტიკუმი“, „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“, „ევროკავშირის სამართალი - ასოცირების ხელშეკრულება და მათი გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე“) სილაბუსებში არსებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებიც;
    - სასურველია, სასწავლო კურსის „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი ქმნიდეს სემესტრის განმავლობაში მათი გაცნობის გონივრულ ვარაუდს.

- **2.4. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს კურიკულუმის გარე აქტივობები და მეტად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება ამგვარ ღონისძიებებსა თუ პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით.
- **2.6. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა, ასევე, შედიოდნენ გარე ექსპერტებიც.
- **3.1. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი: (ა) დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის გარეთ (კურიკულუმს ფარგლებს გარეთ) არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით განახორციელოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობა; ამავე დროს, (ბ) უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის პროცესში გამოყენების თაობაზე და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.
- **3.2. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს უფრო მეტი თავისუფლება, დამოუკიდებლად აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში საკვლევი თემა და თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციის დახმარებით, ინდივიდუალურად განსაზღვროს როგორც კვლევის მიმართულება, ასევე საკვლევი თემის სათაური.
- **5.1. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, ლექტორთა შეფასებისთვის პანდემიის დროსაც იყოს ურთიერთდასწრების მექანიზმი გამოყენებული, დისტანციური სწავლების პირობების გათვალისწინებით.
- **5.3. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სასწავლო პროცესის სრული ციკლის ამსახველი ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი რეკომენდაციები და წინადადებები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **4.2. სტანდარტთან მიმართებით:** მისასალმებელია აფილირებული პერსონალის მიმართ ისეთი წახალისების მექანიზმების არსებობა, როგორიცაა: ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი.
- **4.3. სტანდარტთან მიმართებით:** აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც სტუდენტს საშუალება აქვს, ბიბლიოთეკისაგან მოითხოვოს ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. უსდ-ის ბიბლიოთეკა ზრუნავს იმ ლიტერატურის დასკანერებასა და სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მიწოდებაზე, რომელიც მანამდე მას არ გააჩნდა ასეთი ფორმატით. ამასთან, მისასალ-მებელია, რომ უსდ-ის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოში არსებულ სხვა

ბიბლიოთეკებთან და, საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ისეთი ლიტერა-ტურის გამოთხოვა, რომელიც არაა დაცული უსდ-ს საბიბლიოთეკო საცავში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილებები. პროგრამაში აისახა დამსაქმებლების მოთხოვნა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასა და პრაქტიკული საათების გაზრდაზე. დაინტერესებულ აქტორთა აქტიური მონაწილეობით გადამუშავდა პროგრამის სწავლის მიზნები; პროგრამაში სწავლის შედეგების გადმოსაცემად გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომია და ისინი აისახა აქტიური ზმნებით; შემოვიდა სამოსამართლო სამართლისა და შედარებითი სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები, დისციპლინებში იგრძნობა ქართული სამართლის ევროპეიზაციის ელემენტები; რამდენიმე სასწავლო კურსი („საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, „ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, „მოწმის დაკითხვის მეთოდები სისხლის სამართლის პროცესში“) გადავიდა არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხაში რამდენიმე საგანში ინტეგრირების ან დისციპლინის სახელწოდებისა და სილაბუსის შინაარსის შეცვლის გზით. მაგალითად, არჩევით სასწავლო კურსებს შორის განთავსდა დისციპლინა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებთან დაკავშირებით.“ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდა სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები ისე, რომ მათი ჯამი შეადგენდეს 750 საათს; პროგრამის სტრუქტურის დახვეწა-შევსებისთვის გამოყენებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის თსუ-ის, ასევე, უცხოური (ლატვიისა და ესტონეთის) უნივერსიტეტების ანალოგი პროგრამების დადარების მექანიზმი და სხვა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია მიზნები, რომლებიც ასახავს კურსდამთავრებულისათვის კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს: 1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სხვადასხვა სამართლებრივი კულტურისა და ინსტიტუციების საქმიანობისა და იურიდიული პროფესიის ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების შესახებ; 2. გაუღრმავოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, არგუმენტირებული გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემუშავების და საკუთარი კვლევის შედეგების წერითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარები; 3. ჩამოუყალიბოს იურიდიული პრაქტიკის კონტექსტში პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის, სამართლიანობის ძირითადი პრინციპების დაცვის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია შესაბამისი სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტის ერთობლიობით. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ფაკულტეტის 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტთან. პროგრამის მიზნების გადამუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი, რაც იკვეთება თვითშეფასების ანგარიშიდან და დასტურდება ინტერვიუს შედეგებით. სამართლის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაფუძნებულია ამ მოთხოვნათა ანალიზზე. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, თუმცა, საბოლოო განახლებული ვარიანტის მითითებულ ვებგვერდზე არ არის ატვირთული. სასურველია, უნივერსიტეტის ვებგვერდზე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ მონაცემები განახლდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის მიზნები; o თვითშეფასების ანგარიში; o 2018-2024 სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი [https://atsu.edu.ge/index.php/business-strategic-plan-geo]; o შრომის ბაზრის ანალიზის ამსახველი დოკუმენტი [http://atsu.edu.ge/images/pdf/Sromis-bazris-da-damsaqmebelTa-bazris-analizi.pdf]; o https://atsu.edu.ge/index.php/business-progs/business-2021-2022; o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია, განახლდეს სამართლის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა უსდ-ის ვებგვერდზე [https://atsu.edu.ge/index.php/business-progs/business-2021-2022].
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდგომ. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: I. აღწერს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში ეროვნული და სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, პროცესებს და კონცეფციებს, განვითარების პერსპექტივებს; ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის ეფექტურ გავლენას; შიდასახელმწიფოებრივი მოქმედი კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს,

ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს; სამოსამართლო ეთიკის სტანდარტულ წესებს და საკომუნიკაციო მეთოდებს, დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს; სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, დასაბუთებული პროფესიული სამეცნიერო ტექსტის შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით.

II. აანალიზებს სამართლის სხვადასხვა დარგში მოქმედ შიდაეროვნულ, საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს და სასამართლო პრაქტიკას, შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არსებულ პრობლემებს, სავარაუდო შედეგებს და შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ დასკვნებს საკუთარი პროგნოზირებისადმი ნდობის შესაბამისი დონის დასადგენად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

III. ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სასამართლო გადაწყვეტილებების, სამეცნიერო სტატიების, უცხოური სამართლებრივი რესურსების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე იურიდიული კვლევის ფუნდამენტური ინსტრუმენტების იდენტიფიცირებით და იურიდიული პრინციპების ეფექტურად გამოყენებით გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს.

IV. ახდენს მრავალფეროვან პროფესიულ გარემოში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ძირითად ტექნიკაზე დაყრდნობით, პრობლემების გადაწყვეტის, სრულიად ახალი ორიგნალური გზების, უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით ეფექტურ კომუნიკაციას ლოგიკური და ობიექტური დამაჯერობლობით, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

V. ავლენს იურიდიული კვლევებისთვის ინფორმაციის მოძიების თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების, ბეჭდური და ონლაინ წყაროების იდენტიფიცირების უნარს; ელექტრონული კვლევის მონაცემთა ბაზის გამოყენებით სწავლასთან დაკავშირებულ ინფორმაციის საძიებო მოთხოვნების დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

VI. პატივს სცემს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას სამოსამართლეო ეთიკის სტანდარტებს, სამართლიანობისა და მორალის ძირითად პრინციპებს, პროფესიულ ღირებულებებს და პასუხისმგებლობას იმოქმედოს ეთიკურად და თანმიმდევრულად მაღალი ზნეობრივი სტანდარტებით.

VII. აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს და აკადემიური ეთიკის საკითხებს; მართავს თავის დროს ეფექტურად, ფაქტობრივი ვითარების ზუსტი შეფასებითი უფლებამოსილებით შეიმუშავებს ინდივიდუალურ მიდგომას კვლევითი ნაშრომის მოსამზადებლად და საბოლოო პროფესიული პროდუქტის შესაქმნელად.

VIII. ავლენს თანამედროვე სამართლებრივი ინფორმაციის ინდივიდუალურად მოძიების და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, პიროვნული და პროფესიული განვითარების უნარს, კომპეტენციას თანამშრომლობისა და თვითშეფასების სფეროში.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა ეყრდობა კვალიფიკაციათა ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივ მახასიათებელს. ასევე, წარმოდგენილია დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა ანალიზი, რომელთანაც, ფაქტობრივად, თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულისათვის იძლევა შემდგომ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას, თუმცა, თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ასეთი შესაძლებლობით 133 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ ორმა კურსდამთავრებულმა ისარგებლა. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში, ძირითადად, ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის და სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიდან, წარმოდგენილია პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მომწესრიგებელ დოკუმენტში გაწერილია პერიოდულობა, მეთოდები და სამიზნე ნიშნულები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმი კვლავ მოითხოვს სრულყოფას. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების მეთოდად მითითებულია პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები; რეფერატი; პროფესიული პრაქტიკა; სამაგისტრო ნაშრომი. წინა რეკომენდაციის მსგავსად, აღნიშნული მეთოდოლოგიური განლაგება, კონცეპტუალურად სწორად არის შესრულებული, მაგრამ მისი უშუალო მიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან კვლავ არ არის შესრულებული. საქმე ისაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ინდივიდუალურად უნდა გაიზომოს და შეფასდეს, ხოლო კონკრეტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კომპონენტსა თუ კვლევით კომპონენტზე. მას შემდეგ, რაც კონკრეტული სასწავლო კომპონენტის მიმართება დადგინდება პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან (შედეგებთან), შემდგომ უნდა დაზუსტდეს, თუ შეფასების რა მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის გასაზომად. სწავლის შედეგების გაზომვა და შეფასება წინასწარ დადგენილი ფორმით ასევე წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში უნდა შესრულდეს. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უშუალოდ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან კავშირში კვლავ გადაიხედოს.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და მექანიზმის სისრულე არ იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზის საშუალებას, მოცემულ ნაწილში, შეფასების ანალიზის გამოყენება პროგრამის

გასაუმჯობესებლად ვერ იქნებოდა გამოყენებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სწავლის შედეგები; o თვითშეფასების ანგარიში; o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; o პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა; o კურიკულუმის რუკა; o სასერტიფიკატო გამოცდის შედეგების გამოთხოვის დოკუმენტი; o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი; o კურსდამთავრებულთა შემდეგ საფეხურზე გადასვლის მაჩვენებელი; o სამიზნე ნიშნულები; o სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უშუალოდ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან კავშირში გადაიხედოს, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები ინდივიდუალურად უნდა გაიზომოს და შეფასდეს, ხოლო კონკრეტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კომპონენტსა თუ კვლევით კომპონენტზე. მას შემდეგ, რაც კონკრეტული სასწავლო კომპონენტის მიმართება დადგინდება პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან (შედეგებთან), შემდგომ უნდა დაზუსტდეს, თუ შეფასების რა მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის გასაზომად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ➢ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავს:
  - გამოცდას სპეციალობაში, რომელიც ჩატარდება წერითი ფორმით და ითვალისწინებს აპლიკანტის ზოგადთეორიული ცოდნის შემოწმებას საჯარო სამართლის მიმართულებით: საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესის საკითხებიდან; კერძო სამართლის მიმართულებით: ვალდებულებითი სამართლის, სანივთო სამართლის, სახელშეკრულებო სამართლის, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო სამართლის საკითხებიდან; სისხლის სამართლის მიმართულებით: სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილებიდან, ასევე, სისხლის სამართლის პროცესიდან;
  - გამოცდას უცხო ენაში, რომელიც ჩატარდება ტესტირების ფორმით. უცხო ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ასევე, თავისუფლდება კანდიდატი, ვისაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტზე EP-QA პროცედურული კოდის მიმართულებით. პროგრამის შემუშავებისა და განახლების დოკუმენტებია: სამართლის დეპარტამენტის 16.04.2021, №5; 15.05.2021, №6; 5.06.2021, №7; 26.06.2021, №8 ოქმების ამონაწერები; ფაკულტეტის საბჭოს 20.07.2021, №17 ოქმის ამონაწერი; აკადემიური საბჭოს 17.09.2021, №3 (21/22) დადგენილება.

პროგრამა სტრუქტურულად მოიცავს პროგრამის დასახელებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაციას, პროგრამის კრედიტულ მოცულობასა და სწავლების პერიოდს, სწავლების ენას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებს, პროგრამის სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს. პროგრამის კურიკულუმის რუკა, სტრუქტურულად, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: პროგრამის მოცულობა არის 120 (ECTS) კრედიტი, საიდანაც სავალდებულო სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 30 კრედიტი, სავალდებულოა პრაქტიკული კომპონენტი 30 (ECTS) კრედიტი (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის წარმოდგენილ დოკუმენტში, პროგრამის სტრუქტურაში, მე-6 გვერდის პირველივე აბზაცში სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის კრედიტი გასასწორებელია - ამჯერად აქ მითითებულია 20 (ECTS) კრედიტი).

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია 6 (ექვსი) სასწავლო კურსით, რომლებიც ჯამში აფორმირებენ 30 (ECTS) კრედიტს. ეს სასწავლო კურსებია:

1. სამეცნიერო წერის საფუძვლები და კვლევის მეთოდები 6 (ECTS) კრედიტი;

2. სამოსამართლო სამართალი 4 (ECTS) კრედიტი;
3. ევროკავშირის სამართალი - ასოცირების ხელშეკრულება და მისი გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე 5 (ECTS) კრედიტი;
4. შედარებითი სისხლის სამართალი 5 (ECTS) კრედიტი;
5. შედარებითი კერძო სამართალი 5(ECTS) კრედიტი;
6. შედარებითი კონსტიტუციური სამართალი 5 (ECTS) კრედიტი.

ასევე, სამართლის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით, საიდანაც სტუდენტს 10-10 სასწავლო კურსიდან შეუძლია აირჩიოს მისთვის საინტერესო საგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაზიარებულ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევა გათვალისწინებულია და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობად, დამატებით, დადგენილია არჩევითი სასწავლო კურსებიდან მინიმუმ 20 (ECTS) კრედიტის აღება იმ მიმართულებიდან, რომელი მიმართულებითაც სტუდენტი აპირებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით არის, მათ შორის, დადგენილი, გამოხატულია პროფესიულ პრაქტიკაში, რომელსაც განსაზღრული აქვს 30 (ECTS) კრედიტი. პროგრამის კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (30 (ECTS) კრედიტი).

ზემოთ განხილული პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ასევე, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაში შემავალ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც დალაგებულია თანმიმდევრულად, ხოლო შემდგომ კომპონენტზე გადასვლის წინაპირობა ადეკვატურად არის განსაზღვრული.

პროგრამის შემუშავებაში, ფაქტობრივად, ყველა დაინტერესებული მხარეა ჩართული, ხოლო მიღებული შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის EP-QA დოკუმენტი;
- კურიკულუმის რუკა;
- სამართლის დეპარტამენტის 16.04.2021, №5; 15.05.2021, №6; 5.06.2021, №7; 26.06.2021, №8 ოქმების ამონაწერები; ფაკულტეტის საბჭოს 20.07.2021, №17 ოქმის ამონაწერი; აკადემიური საბჭოს 17.09.2021, №3 (21/22) დადგენილება;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ვებგვერდი [https://atsu.edu.ge];

- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კურიკულუმის წარმოდგენილ დოკუმენტში, პროგრამის სტრუქტურაში, მე-6 გვერდის პირველივე აბზაცში სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის კრედიტი გასწორდეს და განისაზღვროს 30 (ECTS) კრედიტით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

სასწავლო კურსის დასახელება, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია, სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), სასწავლო კურსის საფეხური, სწავლების სემესტრი, სწავლების ენა, კრედიტების რაოდენობა, საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სასწავლო კურსის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შინაარსი ყოველკვირეული თემატიკის გათვალისწინებით, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, შეფასების სისტემა, კომპონენტები და კრიტერიუმები, სასწავლო მასალა (სავალდებულო და დამატებითი).

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების მიხედვით, რაც ნათლადაა ასახული პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე. კურიკულუმის რუკა ყოველ სასწავლო კურსთან მიმართებით განსაზღვრავს, თუ რა დონით ავითარებს მოცემული კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკას, მოცულობასა და მისი შესწავლისათვის აუცილებელ დროს.

კურსის შეფასებაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველ-ყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. ფასდება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე სტუდენტის მიერ შესრუ-ლებული რეფერატი, პრაქტიკული დავალება, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, პრეზენტაცია, დისკუსია-დებატი, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვ.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით მაგისტრატურის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, მათ მიერ არჩეული საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით მიიღონ/გაიღრმავონ შესაბამისი ცოდნა. მისასალმებელი და აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწი-ნებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაზიარებული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და კურიკულიმში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობად, დამატებით, დადგენილია არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 (ECTS) კრედიტის დაგროვება სამაგისტრო ნაშრომის თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით. თუმცა, კურიკულუმსა და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წინაპირობები ერთმანეთთან შეუსაბამოა, იწვევს გაურკვევლობას და საჭიროებს კორექტირებას. კერძოდ, კურიკულუმის მიხედვით (იხ. კურიკულუმი, დანართი 2) სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წინაპირობად განსაზღვრულია ***„პროფესიული პრაქტიკა და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებიდან თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით“,*** სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში კი წინაპირობის გრაფაში აღნიშნულია, რომ ***„სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული***

სავალდებულო სასწავლო კურსები, გარდა პროფესიული პრაქტიკის. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო კურსი „პროფესიული პრაქტიკა“. მიზანშეწონილია, სილაბუსსა და კურიკულუმში აღნიშნული ჩანაწერები სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წინაპირობებთან დაკავშირებით შეივსოს და შესაბამისად ჩამოყალიბდეს. სილაბუსში დამატებით უნდა დაკონკრეტდეს დაშვების წინაპირობად სტუდენტის მიერ 20 (ECTS) კრედიტის დაგროვება არჩევითი სასწავლო კურსებიდან თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები ძირითადად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

მისასალმებელია, რომ პროგრამის არჩევით სასწავლო კურსთა ნუსხაში გათვალისწინებულია სამი ინგლისურენოვანი საგანი: „დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართალი“ (European non-discrimination law), „საოჯახო-მემკვიდრეობითი სამართლის ნოვაციები და სასამართლო პრაქტიკა“ (Innovation in Family Inheritance Law and Jurisprudence) და „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“ (Comparative Criminal Justice).

სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შედეგის მიღწევის მიზნით ზოგიერთი **სილაბუსის შინაარსში გარკვეული ცვლილებების შეტანის საჭიროება** არსებობს. მაგალითად:

- **გადასამუშავებელია სასწავლო კურსის „სამოსამართლო სამართალი“ <u>სილაბუსის შინაარსი: აღნიშნული სასწავლო კურსი მეტად ორიენტირებულია სამოსამართლო ეთიკის თემატიკის, ასევე, ორგანიზაციული საკითხების სწავლებაზე, ვიდრე სამოსამართლო სამართალზე. შესაბამისად, ის უნდა შეივსოს სამოსამართლო სამართლის <u>რელევანტური თემატიკით,</u></u>** მაგალითად, ასეთ თემატიკას შეიძლება წარმოადგენდეს: სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბება-განვითარების თავისებურებები, სასამართლო პრეცედენტების მნიშვნელობა, სამოსამართლო სამართალი და საერთო სამართლის სისტემა, სამოსამართლო სამართალი და კონტინენტური ევროპის სამართალი, სამართლის ნორმების განმარტება ხერხები და თავისებურებები, სასამართლო დისკრეციის ფარგლები და სხვა;
- **დისციპლინის „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სილაბუსის <u>შინაარსი ისე უნდა შეიცვალოს, რომ უფრო მეტად აისახოს</u>** <u>შედარებითი საკორპორაციო სამართლის კონტექსტიც</u>.

ამასთან, **რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში <u>უახლესი და საყურადღებო</u> ლიტერატურის ინტეგრირების საჭიროება** არსებობს. მაგალითად:

- სასწავლო დისციპლინის **„სამოსამართლო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურა მხოლოდ 1-2 სამეცნიერო ლიტერატურის ამარა რჩება, თუ არ ჩავთვლით** კანონებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურად არ მოიაზრება. <u>კურსის მიზნებისთვის</u>

<u>სასურველია,</u> **<u>ამ საგნის სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შემდეგი ნაშრომები:</u>** გ. გოგიაშვილი, სამოსამართლო სამართალი, თბ., 2020; ვ. ხრუსტალი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებათა სავალდებულო ხასიათი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2021; გ. ხუბუა, “*Contra Legem*”, ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, N2, 2018 და სხვა.

- **დისციპლინის „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში პირველ ნაშრომად მითითებულია:** კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 1; 2000, თუმცა სილაბუსის შინაარსიდან ვერ ირკვევა, ეს ნაშრომი კონკრეტულად რომელი საკითხების განხილვაშია გამოყენებული. თავისთავად ცალკე აღებული ეს წიგნი მნიშვნელოვანი **ნაშრომია, მაგრამ ის არ ეხება შედარებით საკორპორაციო სამართალს.** თუ იქნებოდა ეს ნაშრომი გამოყენებული, ალბათ, სილაბუსის შინაარსში თავდაპირ-ველად უნდა გამოკვეთილიყო შედარებითი სამართლის რეგულირების სფერო, ამოცანები და შემდეგ ასახულიყო მისი ქვედარგის - შედარებითი საკორპორაციო სამართლის - სპეციფიკა. ასევე, მართალია, შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა შეიცავს რამდენიმე საყურადღებო ნაშრომს, მაგრამ სილაბუსის შინაარსში ნათლად ვერ დგინდება, რომ ისინი სათანადოდაა გამოყენებული. ამასთან, **შედარებითი საკორპორაციო სამართლის მიზნებისთვის, სასურველია, დაემატოს შემდეგი უახლესი ნაშრომები:** რ. კრაკმანი, ჯ. არმორი, პ. დევისი და სხვები, საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა, მთარგმნელები: ა. ქოჩიაშვილი, დ. მაისურაძე, თბ., 2019; ი. ბურდული, თ. ბერიძე და სხვები, რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, თბ., 2018; ი. ბურდული, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის, ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, N2, 2019; ნ. ბაქაქური, გ. გელტერი, ლ. ცერცვაძე, გ. ჯუღელი, საკორპორაციო სამართალი, თბ., 2019 და სხვა.
- **კარგი იქნება, დისციპლინის „ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკული ასპექტები“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს შემდეგი ნაშრომები: ვ. მენაბდე, ა. შალამბერიძე, თ.** თოდუა, ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები (2008-2010), თბ., 2011; ნ. სხირტლაძე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017 და სხვა. ამავე საგნის სილაბუსის სავალდებულო **ლიტერატურაში წარმოდგენილია კანონები, რომლებიც მიზანშეწონილია, „ნორმატიული აქტების“ ქუდქვეშ** იყოს ასახული, რადგან ისინი არ განეკუთვნება სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურას.
- ასევე, სასურველია **სასწავლო კურსის „საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურისთვის** ლ. გოთუას ნაშრომის, ზ. გაბისონიას 2017 წელს გამოცემული „საბანკო სამართლის“ დამატება,
- **საგნის „საგადასახადო სამართლის პრაქტიკუმი“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაშიც იგრძნობა დამატებით რამდენიმე საყურადღებო ნაშრომის ასახვის საჭიროება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად:** ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი, წიგნი პირველი, თბ., 2018, ასევე, ზ. როგავა, საგადასახადო სამართალი,

წიგნი მესამე, თბ., 2017; ლ. ნადარაია, ზ. როგავა, კ. რუხაძე, ბ. ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წ. მე-2, თბ., 2012;

- კარგი იქნება, დისციპლინის **„საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“** სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს ლ. ჭანტურიას „უძრავი ქონების საკუთრება“, მე-2, გამოცემა, თბ., 2001.
- სასწავლო კურსის **„ევროკავშირის სამართალი - ასოცირების ხელშეკრულება და მათი გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე“ სავალდებულო ლიტერატურას** შეიძლება დაემატოს გ. გაბრიჩიძის 2012 წელს გამოცემული ნაშრომი „ევროპული კავშირის სამართალი“. სილაბუსით ეს ნაშრომი არჩევითი ლიტერატურის წრეშია, მაგრამ თავისი არსით და კურსის მიზნებისთვის უფრო მეტად სავალდებულო ლიტერატურაში უნდა იყოს.

გარდა ამისა, ერთ-ერთი სასწავლო კურსის **„საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი ითვლის 55-მდე წყაროს.** ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, <u>**სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა უნდა მიეთითოს,**</u> მეორე მხრივ, **სავალდებულო ლიტერატურის გაცნობა <u>სემესტრის განმავლობაში რეალისტური</u>** უნდა იყოს, რათა არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კურსის მიმდინარეობისას ლიტერატურათა დიდი ჩამონათვალის **გაცნობა შეუძლებელია. ამდენად, ჩანს „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების“ საგნის სავალდებულო ლიტერატურიდან დაახლოებით ნახევრის დამხმარე** ლიტერატურაში გადანაწილების საჭიროება.

სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: https://library.atsu.edu.ge/ ;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, შედეგის სრულად მიღწევის მიზნით, „სამოსამართლო სამართლისა“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი გადამუშავდეს რელევანტური თემატიკის ასახვის გზით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და კურიკულუმში აღნიშნული ჩანაწერები სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წინაპირობებთან დაკავშირებით შეივსოს და შესაბამისად ჩამოყალიბდეს: სილაბუსში დამატებით

დაკონკრეტდეს დაშვების წინაპირობად სტუდენტის მიერ 20 (ECTS) კრედიტის დაგროვება არჩევითი სასწავლო კურსებიდან თემის შესაბამისი მიმართულების მიხედვით. • სასურველია, რამდენიმე სასწავლო კურსის („შედარებითი საკორპორაციო სამართალი“, „სამოსამართლო სამართალი“, „ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკული ასპექტები“, „საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“, „საგადასახადო სამართლის პრაქტიკუმი“, „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“, „ევროკავშირის სამართალი - ასოცირების ხელშეკრულება და მათი გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე“) სილაბუსებში არსებულ სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ნაშრომებიც; • სასურველია, სასწავლო კურსის „საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი ქმნიდეს სემესტრის განმავლობაში მათი გაცნობის გონივრულ ვარაუდს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის დარგობრივი მახასიათებლისა და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისად განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე სამართლის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად ინტეგრირებული პროფესიული პრაქტიკის

ფარგლებში, რომლის საფუძველზეც სტუდენტი ახდენს მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განმტკიცებას. აღნიშნული მოდულის გავლა სტუდენტისათვის სავალდებულოა სწავლების მეორე წელს (მესამე სემესტრში) და ორიენტირებულია სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლება მიიღონ მათი ინტერესის სფეროს შესაბამისად იმ ორგანიზაციებში (მათ შორის, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს იურიდიული სამსახური, სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობა), რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები. თუმცა, აღნიშნული მემორანდუმების უმრავლესობა, თავისი შინაარსით, ზოგადი ხასიათის ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი არასავალდებულო დოკუმენტებია. ამასთან, არსებული მემორანდუმებით არ არის განსაზღვრული სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, რაც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ობიექტურად არსებული გარემოებები (რაზეც არაერთი უნივერსიტეტი აპელირებს), რომლებიც ეხება უნივერსიტეტებსა და პრაქტიკისა თუ სტაჟირების განმახორციელებელი კერძო თუ საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და ხელშეკრულებების/მემორანდუმების პირობების დაკონკრეტების თვალსაზრისით შინაარსის განსაზღვრის სირთულეებს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ეს მოთხოვნა, თავის მხრივ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როგორც წინასწარ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის, ისევე მიზნის, მიმართულებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია პრაქტიკის არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ მიზნობრივად სტუდენტების გადანაწილების და საერთოდ პრაქტიკული კომპონენტების სწორი მენეჯმენტისთვის.

ასევე, სპეციალობით მომუშავე სტუდენტს პროგრამა აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკა გაიაროს მის დამსაქმებელ ორგანიზაციაში შევსებული პრაქტიკის დღიურისა და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის საფუძველზე (დეტალურად იხ. 3.1. ქვესტანდარტი). აღნიშნული შესაძლებლობა ემსახურება მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების ინტერესებს, ვინაიდან მათი ნაწილი, როგორც წესი, დასაქმებულია და უკვე ახორციელებს იურიდიულ საქმიანობას. შესაბამისად, არ ხდება მათი „მოცდენა“ დასაქმების ფარგლებში მათი პრაქტიკული საქმიანობიდან და შესაძლებელია პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების გამომუშავება სტუდენტმა მისი დასაქმების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის პარალელურად/პროცესში მოახდინოს.

უნივერსიტეტში მოქმედებს იურიდიული კლინიკა, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. “live client”-ზე. იურიდიული კლინიკის სივრცე სათანადოდაა მოწყობილი, მათ შორის გამოყოფილია კლიენტების მისაღები ადგილი, რაც უზრუნველყოფს კლიენტთან შეხვედრისას გასაუბრების კონფიდენციალურობის დაცულობას. კლინიკა არ წარმოადგენს

პროგრამაში შემავალ არჩევითი თუ სავალდებულო კომპონენტის ნაწილს და მის საქმიანობაში, ძირითადად, ჩართულნი არიან ბაკალავრიატის სტუდენტები. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ამ მიმართულებით გააქტიუროს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების მონაწილეობაც კლინიკის საქმიანობაში. ეს სტუდენტებს რეალურ საქმეებზე მუშაობის ფორმატში აძლევს საინტერესო და სასარგებლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას ექსტრაკურიკულური აქტივობის ფარგლებში. მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივა 2018 წლიდან უცხოელი პროფესორების მიერ საჯარო ლექციების ჩატარების შესახებ. მათ 2018-2019 წლებში ჩაატარეს რამდენიმე საჯარო ლექცია აქტუალური პრობლემების ირგვლივ. ასევე, 2021 წელს ჩატარდა საჯარო ლექციები ბავშვთა უფლებების შესახებ ამ სფეროში ცოდნის გაღრმავების მიზნით. აღნიშნულის მიუხედავად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა მაგისტრატურის სტუდენტთა ნაკლები ჩართულობა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მაგისტრატურის პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ქმედითი პროგრამებისა და აქტივობების დაგეგმვა და სტუდენტების დაინტერესება ამ პროგრამებსა თუ აქტივობებში/ღონისძიებებში, მათ შორის, გაცვლით პროგრამებში, ჩართულობის თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია მაგისტრატურის საფეხურზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o მემორანდუმები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზნობრიობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს კურიკულუმის გარე აქტივობები და მეტად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება ამგვარ ღონისძიებებსა თუ პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ სამაგისტრო **პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მთლიანობაში შეესაბამება სწავლების საფეხურს,** კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას. სასწავლო პროცესში სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ისეთი მეთოდებით, როგორიცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლება, აქტივობებად კი, ძირითადად, განისაზღვრება ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, წიგნზე მუშაობა; წერითი მუშაობა; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; დამოუკიდებელი სწავლა, გონებრივი იერიში (Brain storming); გუნდური მუშაობა (collaborative), დისკუსია/დებატები; ანალიზი, დამოკიდებელი სწავლა (ესსეს მომზადება); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL). სასწავლო კურსების სილაბუსების **შესწავლისას გამოვლინდა გაკვეული უზუსტობა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით**: • საგნის „სამეცნიერო წერის საფუძვლები და კვლევის მეთოდები“ სილაბუსში სწავლების მეთოდებად **გამოყენებულია მხოლოდ ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და ელექტრონული სწავლება, ხოლო აქტივობებად მითითებულია** ინდუქცია-

დედუქცია, ანალიზი, წიგნზე მუშაობა, წერითი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დამოუკიდებელი სწავლება. არადა მათი უმეტესობა სწავლების მეთოდებია. ანალოგიურ **პრობლემას ვაწყდებით ისეთი სასწავლო კურსების სილაბუსებში, როგორიცაა: „სამოსამართლო სამართალი“,** „პოლიტიკური პარტიების სამართალი“, „ევროკავშირის სამართალი - ასოცირების ხელშეკრულება და მათი გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე“, „შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“ და სხვა.

- ამასთან, საგულისხმოა, რომ რამდენიმე საგნის სილაბუსში („შედარებითი კერძო სამართალი“, „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“ და სხვა) **როლური თამაში გამოყენებულია სტუდენტის აქტივობის ფორმად. სახელდობრ, „შედარებითი კერძო სამართლის“ სილაბუსში როლური თამაში ტარდება 5-ჯერ და ფასდება 2** ქულით, „შედარებითი კონსტიტუციური სამართლის“ სილაბუსით განსაზღვრულია, რომ როლური თამაშები უნდა ჩატარდეს 4-ჯერ სემესტრის განმავლობაში და ფასდება 1 ქულით. არადა როლური თამაში წარმოადგენს არა შეფასების მეთოდს, არამედ სწავლება-სწავლების მეთოდს. ანალოგიურად ეს პრობლემა გვხვდება რამდენიმე სხვა საგნის სილაბუსშიც.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გარკვეული საკითხები დაზუსტდეს: როგორც ცნობილია, სასწავლო კურსებში უნდა შეირჩეს ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც სტუდენტებისთვის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას შეუწყობს ხელს და სასწავლო კურსით დადგენილი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, მეორე მხრივ, სააუდიტორო მუშაობას უფრო მეტად ინტერაქტიულს ხდის. შესაბამისად, სწავლების მეთოდი შეიძლება განიხილებოდეს მასალის მიწოდების ერთგვარ სისტემურ ხერხად, გზად თუ ტექნიკად, რომელიც ეხმარება ლექტორს სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვასა და სტუდენტებისთვის რელევანტური კომპეტენციების გამომუშავებაში. თუმცა, ცხადია, ლექტორმა უნდა გააკეთოს აქცენტები სწავლების იმ მეთოდებზე, რომლებიც სტუდენტს დაეხმარება არა მარტო ინფორმაციის ათვისებაში, არამედ ზოგადი/ტრანსფერული თუ სპეციალობის ფარგლებში შესატყვისი დარგობრივი უნარების გამომუშავებაში. ამასთან, სასწავლო კურსის მიზნები ფაქტობრივად განსაზღვრავს ამ საგნის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შინაარსს, მოსალოდნელ შედეგებს და ქმნის კარგ საფუძველს სტუდენტთა პროგრესისთვის. ასეა სასწავლო მიზნები, აქტივობები, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები ურთიერთდაკავშირებული ერთმანეთთან. რაც შეეხება აქტივობას, ცნობილია, რომ მასში სხვა შინაარსია ჩადებული. აქტივობის არსის გადმოსაცემად უნდა ვუპასუხოთ შეკითხვას: რა სახის დავალებას ასრულებს სტუდენტი? იმისათვის, რომ გავიგოთ, რა მოიაზრება სწავლების მეთოდში, უნდა გავცეთ პასუხი შემდეგ შეკითხვას: როგორ ან რომელი ხერხის (მეთოდის) გამოყენებით ასრულებს სტუდენტი გადაცემულ დავალებას?

ამდენად, სწავლების მეთოდი და აქტივობა ერთმანეთისგან განსხვავდება. ორივე, ცხადია, მნიშვნელოვანია, რათა, საბოლოო ჯამში, სწავლის შედეგები სრულად იყოს

უზრუნველყოფილი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს მიგვაჩნია, რომ მათი ერთმანეთში აღრევა არაა გამართლებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o სწავლება-სწავლის მეთოდები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, სწავლება-სწავლის მეთოდები მიზნობრივად იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს შეფასების ინსტრუმენტებისგან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დამუშავების შედეგად და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა განსაზღვრულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანების, 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 15 სექტემბრის №1 (17/18) დადგენილების შესაბამისად.

შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0–40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდგომ. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და

უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სასწავლო კურსების სილაბუსებით სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, ეს კი უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდები, კრიტერიუმები განსაზღვრულია სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრულ სილაბუსებში.

სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები, ძირითადად, სტუდენტებისათვის გასაგებად არის განსაზღვრული, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს ზეპირი და წერითი გამოკითხვის კომპონენტს. შეფასების კომპონენტებისას გამოყენებულია შეფასების ადეკვატური მეთოდები (პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაცია და სხვა). დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის, მისი დასრულებისა და დაცვის წესები. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი, რომელიც დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი ითვალისწინებს ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესებს, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას და სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის ხელმძღვანელის მხრიდან პერიოდული უკუკავშირის მიწოდებას. დაწესებულების მიერ შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი და პირობები გამჭვირვალე და კანონთან შესაბამისია. სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის დასკვნითი ნაწილია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რომლის მიხედვით - სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

ნაშრომი უნდა შეფასდეს კომისიის მიერ ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით და

გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისათვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები.

სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად, დეპარტამენტის წარდგინებით ფაკულტეტის დეკანი ქმნის დაცვის კომისიას, რომელშიც შედიან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, რომლებიც აფასებენ ნაშრომს დაგეგმილი წესით. დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისა და კომისიის მდივნისაგან. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი. დაცვის კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც არის დარგის სპეციალისტი და დაცვის მომენტისათვის არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კომისიის წევრი, თუმცა იგი არ მონაწილეობს შეფასების პროცესში.

სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, გარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადმიური და მოწვეული პერსონალისა, ასევე, შედიოდნენ, გარე ექსპერტებიც.

სამაგისტრი ნაშრომს აფასებს დაცვის კომისია 100 ქულით. შეფასება არის კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკული. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დაწესებულების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა ხდება სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება დასტურდება შესაბამისი ოქმის გაფორმებით. სამაგისტრო ნაშრომები ინახება შესაბამის დეპარტამენტში 5 წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ ექვემდებარება დაარქივებას დაწესებულებაში განსაზღვრული დადგენილი წესების მიხედვით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გაასაჩივროს (აპელაცია). მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის

შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა უფლებამოსილია, შეიტანოს აპელაციაზე განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით; მაგისტრანტის აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული; სააპელაციო კომისიის მიერ საკითხის განხილვის პროცესზე დასწრების უფლებამოსილება გააჩნია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელსა და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით.

დასაბუთებული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადი განსახილველად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის სააპელაციო კომისიას აღნიშნული პროგრამის დარგის შესაბამისი სასწავლო კომპონენტების განმახორციელე-ბელი არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა მაგისტრანტის პირველად შეფასებაში.

სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი; კომისიის ყველა წევრი უნდა ესწრებოდეს სხდომას. სააპელაციო კომისია იღებს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებას: ა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიაზე დაბრუნების და ხელახალი განხილვის შესახებ; ბ. მიღებული შეფასების დატოვების შესახებ; გ. დაუსაბუთებელი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ. სააპელაციო კომისია ვალდებულია, დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს მაგისტრანტს.

დაწესებულებაში მოქმედებს წესი კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის შესახებ: სამაგისტრო ნაშრომის ავტორი პასუხისმგებელია, დაიცვას საავტორო უფლებები, პერსონალური მონაცემები და კონფიდენციალურობა კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით; სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვალდებულია, კონკრეტული კვლევის ფარგლებში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მიზნით. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე ეკუთვნის მის ავტორს. მომიჯნავე უფლებები (მათ შორის, ნაშრომის ან მისი ნაწილის დაბეჭდვის, ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში განთავსების, სამეცნიერო კვლევაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშის ჩართვის და ა.შ.) უფლებები ეკუთვნის უნივერსიტეტს და აღნიშნული უფლებების რეალიზება არ საჭიროებს დამატებით ავტორთან შეთანხმებას. სამაგისტრო ნაშრომი, დაცვამდე მოწმდება პლაგიატზე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა და ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გაწერილი რეგლამენტის საფუძველზე.

სტუდენტთა შეფასების ფარგლებში მნიშვნელოვანია ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების საკითხი. როგორც დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, ყველა შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ამომცნობი პროგრამით

(Turnitin). დადგინდა, რომ დაზუსტებას მოითხოვს რამდენიმე საკითხი:

- ა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში **შესაცვლელია ტერმინი „პლაგიატი“, ალბათ, ტერმინით „მსგავსება“. იგივე ჩანაწერი, რაც, სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია, გასასწორებელია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში,** რადგან რამდენიმე საგნის სილაბუსში გათვალისწინებულია რეფერატების შემოწმება **ანტიპლაგიატის პროგრამით. მაგალითად, საგნის „შედარებითი კონსტიტუციური სამართლის“ სილაბუსით დადგენილია, რომ პლაგიატის 25%-ზე მეტის აღმოჩენისას სტუდენტი არ დაიშვება პრეზენტაციაზე.**
- ბ. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით თავდაპირველად განსაზღვრულია პლაგიატის ცნება, რაზეც აგებულია პლაგიატის კატეგორიების შესახებ ჩანაწერები. სამაგისტრო ნაშრომში **პლაგიატის დონე არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს. შემდეგ გვხვდება ჩანაწერები, რომლებიდანაც ჩანს, რომ 20-დან 40%-მდე** პლაგიატიც დასაშვებია, მაგრამ მაგისტრანტს აქვს უფლება, გადამუშავებული სამაგისტრო <u>ნაშრომი მომდევნო სემესტრში</u> წარმოადგინოს, ხოლო 40-ზე მეტი პროცენტის **დაფიქსირებისას მაგისტრანტს შეუძლია <u>ერთი წლის შემდეგ გადამუშავებული სამაგისტრო</u> ნაშრომის** წარდგენა (6.3-ის მე-6 და მე-7 პუნქტები). ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მე-7 მუხლში. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, თუ მაგისტრანტი მიიღებს მაგისტრატურის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასებას, მას არ აქვს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლება. ანალოგიური შინაარსის დებულება გაჩნდა მინისტრის ახალ ბრძანებაში. სახელდობრ, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №105/ნ ბრძანების მე-4^2 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. ნაშრომში პლაგიატის ნებისმიერი პროცენტით არსებობა გულისხმობს ნაშრომის ნულით შეფასებას. ამ შემთხვევაში დაუშვებელია, რომ <u>მაგისტრანტმა მომდევნო სემესტრში (ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ) წარადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო</u>

ნაშრომი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თუ როგორც **სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში, ისე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსში, ნაცვლად ტერმინისა „პლაგიატი“, იქნება გამოყენებული ტერმინი „მსგავსება“ ან „დამთხვევა“ და** აქცენტი გაკეთდება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაზე, **ზემოთ აღნიშნული პრობლემაც აღმოიფხვრება. დგინდება ზოგიერთი საგნის სილაბუსში არსებული ანალოგიური ჩანაწერის შეცვლის საჭიროებაც.**

ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით იგრძნობა ურთიერთგადაფარვები:

- **„კვლევის ხარისხის“ ფარგლებში შედის ის, რომ „პრობლემა აქტუალურია, დამუშავებულია რელევანტური წყაროებით** და სხვა“;
- **„თემის აქტუალობა“ ეხება იმის დასაბუთებას, რომ მაგისტრანტი პრობლემას მკაფიოდ და ლოგიკურად** აყალიბებს და ა.შ. აქ უნდა ჩანდეს მაგისტრანტის დასაბუთება იმაზე, რამდენად აქტუალურია ეს თემა, რა დატვირთვა აქვს პრაქტიკული თვალსაზრისით და სხვა;
- **„დასკვნები და შედეგები“** მოიაზრებს **ახალი გზების მოძიებას, რთული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას,** დასკვნის ლოგიკურობას;
- **„სიახლის დასაბუთების უნარი“,** რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტი **ასაბუთებს სიახლეს ლოგიკურად და სხვა.** ეს შეფასების ზედა კრიტერიუმშია. იგრძნობა, რომ შეფასების მე-4 და მე-5 კრიტერიუმი შეიძლება გაერთიანდეს;
- ასევე, შეფასების მე-6 კრიტერიუმია **„ნაშრომის გაფორმების სტანდარტების დაცვა“, რომლის ფარგლებშიც მოწმდება** აკადემიურ დონეზე ნაშრომის შესრულება, კვლევის სიღრმე, ნაშრომის გაფორმების წესების ზედმიწევნით დაცვა;
- ნაშრომის შეფასების მე-7 კრიტერიუმს განეკუთვნება **„ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება“**, რომელიც ეხება „სტატისტიკური ინფორმაციის სამართლებრივ **ჩარჩოებში გამოყენებას, სხვისი ნაშრომების ამონარიდებისა და ციტატების სქოლიოში კეთილსინდისიერად მითითებას** და სხვას.“ მიუხედავად ამისა, ეს აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებას გულისხმობს და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მე-6 კრიტერიუმში ისედაც მოიაზრება.

ამდენად, დგინდება სამაგისტრო **ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ურთიერთგადაფარვების აღმოფხვრის** საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსები;

o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; o სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი; o სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა; o ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმთა ურთიერთგადაფარვა აღმოიფხვრას და აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების შესახებ ტერმინოლოგიური უზუსტობები სილაბუსებში გასწორდეს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა, ასევე, შედიოდნენ გარე ექსპერტებიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, დამუშავების შედეგად და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის გასაგებად არის აღწერილი; სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდა სამართლებრივი აქტების თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი. ექსპერტთა მიერ განხორციელებული ვიზიტისას სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოება - მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, ელექტრონული ფოსტა, დაწესებულების ვებ-გვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი აქტივობების შესახებ, სტუდენტების ინფორმირების და აქტივობის არ არის მაღალი. სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად სათანადო აქტივობები - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად,

კურიკულუმის ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების გასააქტიურებლად, დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების ეფექტური ინფორმირება.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, უნიკალური საბიბლიოთეკო სივრცე, იმიტირებული სასამართლო დარბაზი. აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, თეორიულ ცოდნასთან ერთად, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს შეუწყობს პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და აღნიშნული რესურსებით სწავლის პროცესში სათანადოდ არ სარგებლობენ. სასურველია, დაწესებულების მიერ განხორციელდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით და წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის პროცესში სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის თაობაზე. დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში, ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას. დაწესებულება უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზად არის, გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის დასაფინანსებლად.

დაწესებულებას ხელშეკრულებები/მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში.

სტუდენტების ნაწილი დასაქმებულია. დაწესებულების ხელშეწყობით, მოქმედი სტუდენ-ტები და კურსდამთავრებულები სისტემატიურად იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ინფორმაციას ვაკანსიების, კარიერული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ფარგლებში, პროგრამაში ინტეგრირებულია, სავალდებულო კომპონენტად - პროფესიული პრაქტიკა. პრაქტიკული კურსის ფარგლებში, სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმების პრეცედენტიც არსებობს. პროფესიული პრაქტიკა მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერს რეალურ საქმიანობასთან და იურისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას საჯარო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. მეორე სემესტრის დასრულებისას სტუდენტებს მოეთხოვებათ დასაქმების ან/და სტაჟირების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა; ცნობის საფუძველზე ზუსტდება სტუდენტი არის თუ არა დასაქმებული კვალიფიკაციის შესაბამისად; თუ სტუდენტი კვალიფიკაციის შესაბამისად

არის დასაქმებული ან/და სტაჟირებაზე იმყოფება, მაშინ აწსუ–ს ბრძანების საფუძველზე აღნიშნული ჩაეთვლება პრაქტიკის ობიექტად; აწსუ–ს ბრძანება გადაეგზავნება პრაქტიკის ობიექტს გასაცნობად და მენტორის გამოსაყოფად.

ხორციელდება პრაქტიკის ხელმძღვანელის (უნივერსიტეტიდან) ვიზიტი პრაქტიკის ობიექტში მენტორთან შესახვედრად და სილაბუსის გასაცნობად. სტუდენტს ეძლევა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი, დღიური და პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ გაეწევა კონსულტაცია, როგორ წარმართოს პრაქტიკის ობიექტში მუშაობა და როგორ აწარმოოს დღიური; თუ სტუდენტი არ არის დასაქმებული, მაშინ პროგრამის ხელმძღვანელი ან/და დეპარტამენტი უკავშირდება პარტნიორ ორგანიზაციებს და ათანხმებს ადგილების რაოდენობას; პროგრამის ხელმძღვანელია/და დეპარტამენტი პრაქტიკის ობიექტებთან შეთანხმების შედეგებს აწვდის ფაკულტეტის ადმინისტრაციას და იწერება შესაბამისი ბრძანება; პრაქტიკის ხელმძღვანელი პერიოდულ მონიტორინგს უწევს პრაქტიკის მიმდინარეობას და ადგილზე სტუდენტების აქტიურობას; პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია, დეპარტამენტში წარმოადგინოს პრაქტიკის ანგარიში და წესების დაცვით შევსებული დღიური; მესამე სემესტრის ბოლოს დეპარტამენტი ნიშნავს პრაქტიკის ანგარიშის დაცვას/პრეზენტაციას; სტუდენტს პრაქტიკის ანგარიშის დაცვა/პრეზენტაცია უწევს დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი კომისიის წინაშე, სადაც შეყვანილი იქნება მენტორიც.

პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ საქმდებიან.

მართალია, დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და არაერთ საზღვარგარეთის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობს, თუმცა მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ გააქტიუროს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, რაც საერთაშორისო გაცვლით აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის რეალურ შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ვინაიდან მაგისტრატურის საფეხურზე გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მობილობით სარგებლობის პრეცედენტები არ არის. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების და მათ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სამართლის სამაგისტრო პროგრამა; o პროგრამის ბიუჯეტი; o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; o სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; o ხელშეკრულებები და მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; o აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; o უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება; o უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია, რათა გააღრმავოს და განაახლოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი: (ა) დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის გარეთ (კურიკულუმს ფარგლებს გარეთ) არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით განახორციელოს წამახალისებელი მექანიზ-მები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივო-ბებში სტუდენტების ჩართულობა; ამავე დროს, (ბ) უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ბაზების სწავლის პროცესში გამოყენების თაობაზე და განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ სწავლის პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლებლად მიღებულ სტუდენტებს, სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში უხელმძღვანელებენ დაწესებულების პროგრამის პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, მოწვეული პროფესორები. დაწესებულება თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ, უხელმძღვანელონ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას (პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 24, მათ შორის აკადემიური პერსონალი - 10, კერძოდ: პროფესორი - 1; ასოცირებული პროფესორი - 9; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა - 13; ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა - 13/60).

მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში ხელმძღვანელობას უწევს პროგრამის აკადემიური პერსონალი (1 პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული პროფესორი). უსდ-ს მიერ განსაზღვრული დადგენილებით ერთ პროფესორს ერთდროულად შეუძლია, უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 მაგისტრანტს.

დაწესებულების მიერ წინასწარ არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო თემატიკა. შიდა სამართლებრივი დოკუმენტის - სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და შეფასების წესის მე-3 მუხლით დადგენილია სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის წესი, რომლის თანახმად, სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების არაუმეტეს ერთი წლის შემდეგ (საშემოდგომო სემესტრის დაწყებამდე), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო თემატიკას წარადგენს პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი თემების ჩამონათვალს გააცნობს მაგისტრანტებს, რის შემდეგაც ხდება, მაგისტრანტების კვლევის ინტერესის სფეროს გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა ხელმძღვანელთან ერთად.

არსებული პრაქტიკა ერთი მხრივ, წარმოადგენს შესაძლებლობას სტუდენტისათვის, კვალიფიციური აკადემიური პერსონალის თანამონაწილეობით, თავისი ინტერესების შესაბამისად, საკვლევი საკითხების შესახებ კონკრეტული მიმართულების არჩევის შესაძლებლობა გააჩნდეს, თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია სტუდენტის აკადემიური თავისუფლება, თავად, დამოუკიდებლად აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში საკვლევი თემა და თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციის დახმარებით, ინდივიდუალ-ურად განსაზღვროს როგორც კვლევის მიმართულება, ასევე საკვლევი თემის სათაური.

პროგრამის ხელმძღვანელი სამაგისტრო თემის დასახელებას, მაგისტრანტის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობას წარუდგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი მტკიცდება ჯერ დეპარტამენტის და შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, რის შესახებაც მზადდება ოქმი.

თემის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, მაგისტრანტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვისათვის მომზადებას. დაწესებულების მიერ წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტები, შიდა სამართლებრივი აქტებით არის განსაზღვრული, რომელთა შესაბამისად ხდება ნაშრომის მომზადება, ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით განსაზღვრა და მისი საჯარო დაცვა. ინტერვიუირების პროცესში, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ სტუდენტებთან სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში მუშაობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო რესურსით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, თუ რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. ვიზიტის დროს, ინტერვიუირების პროცესით, გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში უმეტესწილად დაბრკოლებას სტუდენტთა ენობრივი ბარიერი (ინგლისური ენა) წარმოადგენს. აღნიშნულის შედეგად, სტუდენტები სათანადოდ ვერ ეცნობიან უცხოენოვან წყაროებს და სრულფასოვნად ვერ იყენებენ მათ კვლევის პროცესში, ამ გამოწვევის დაძლევის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს წინამდებარე დასკვნის 3.1. ქვესტანდარტის ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV);
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტს ჰქონდეს უფრო მეტი თავისუფლება, დამოუკიდებლად აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში საკვლევი თემა და თემის ხელმძღვანელთან კონსულტაციის დახმარებით, ინდივიდუალურად განსაზღვროს როგორც კვლევის მიმართულება, ასევე საკვლევი თემის სათაური.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან	√			

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უსდ) სამართლის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში - სამაგისტრო პროგრამა) განხორციელებაში ჩართულია როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა არის 10, აქედან 1 პროფესორი და 9 ასოცირებული პროფესორია. აკადემიური პერსონალის ათივე წარმომადგენელი არის აფილირებული უსდ-სთან. ასევე, პროგრამაში ჩართულია 14 მოწვეული ლექტორი. ამდენად, სულ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 24-ს. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 13 წარმომადგენელი ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 38 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. უსდ-ის პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და აქტიური სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობის კოეფიციენტი არის დაახლოებით 0,63.

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის დაახლოებით 0,26. აღნიშნული მონაცემები სამაგისტრო სწავლების საფეხურისათვის მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუირების შედეგად გამოვლინდა, რომ მაგისტრანტთა ხელმძღვანელები არიან უახლესი ცოდნით აღჭურვილნი, აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კვლევებში, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრანტთა მიერ შერჩეულ თემატიკას და მიმართულებას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, პროგრამას უნდა გააჩნდეს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე (აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული). სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უსდ-ს არ წარმოუდგენია პერსონალის დატვირთვის სქემა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს გამოთხოვნილ იქნა პერსონალის დატვირთვის სქემა. თუმცა, უსდ-ის მიერ ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა მხოლოდ სამი პროფესორის დატვირთვის სქემა, სამი განცალკევებული ექსელის (excel) დოკუმენტის სახით. წარმოდგენილი ფორმა არ შეიცავს ინფორმაციას აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის შესახებ ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის/შეიძლება იყოს დასაქმებული. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტები არ ასახავს უსდ-ის პერსონალის დატვირთვის სქემის შესახებ სრულ სურათს.

პროგრამის სილაბუსებით და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დაბალია და წარმოადგენს 2-ს, რაც აკადემიური პერსონალის 20 პროცენტს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა ასევე 2-ს შეადგენს. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი იმგვარია, რომ ხელი არ შეეშლება პროგრამის მდგრადობას.

მსგავსად კარგი და კიდევ უკეთესი მდგომარეობაა მოწვეული პერსონალის მიმართულებით. ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამაგისტრო პროგრამის მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დაბალია, და წარმოადგენს 2-ს, რაც მოწვეული პერსონალის დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდის

განმავლობაში სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 4-ს შეადგენს. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელიც იმგვარია, რომ ხელი არ შეეშლება პროგრამის მდგრადობას.

უსდ-ის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

უსდ-ის მოწვეული პერსონალი დაკომპლექტებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებითა და პრაქტიკოსი იურისტებით.

უსდ-ის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება შიდა რეგულაციების შესაბამისად.

უსდ-ის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და მიღებული აქვთ მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში. ამ მიმართულებით გადამოწმდა უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეები და ავტობიოგრაფიები.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვნენ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის 15. სააკრედიტაციოდ წარმოდენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა ადმინისტრაციული პერსონალის კომპენტენტურობაც. შესაბამისად, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და კომპეტენცია საკმარისია და ფარავს სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის

პირადი საქმეები; o პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია, ფუნქციები და საქმიანობის წესი; o „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები“ (დანართი 2-EP-QA1.1); o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; o პროგრამის ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმა; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია, უსდ-მ შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ერთიანი სქემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახული იქნება სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დატვირთვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ამგვარ სქემაში უსდ-მ განსაზღვროს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ისინი არიან დასაქმებულები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წინამდებარე აკრედიტაციის სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის ფარგლებში, უპირველესად შესაფასებელია რეგულარულად აწარმოებს თუ არა უსდ პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. აღსანიშნავია, რომ უსდ-ში მოქმედებს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65(18/19) დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები“ (შემდგომში - დადგენილება). როგორც სათაურიდანაც ჩანს, აღნიშნული სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს უსდ-ის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიურ სასწავლო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ დატვირთვის ნორმებს. მაგალითად, ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა მოიცავს სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას და შეადგენს 1500 საათს. აქედან 500 საათი მოიცავს სასწავლო დატვირთვას (სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდური, სასწავლო - ორგანიზაციული) და 1000 საათს, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის დატვირთვის წლიური მოცულობა განისაზღვრება 1000 საათის ოდენობით. ამ საათობრივ დატვირთვაში შედის 500 საათი სასწავლო დატვირთვის, ხოლო დანარჩენი 500 საათი სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის სახით. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტითაა განსაზღვრული ემერიტუსის წლიური დატვირთვა, რომელიც შეადგენს 1000 საათს და მოიცავს 90 საათ სასწავლო - საკონტაქტო სამუშაოს, ხოლო 910 საათ სამეცნიერო-მეთოდური მუშაობას. აღნიშნული დადგენილებით ასევე დეტალურადაა განსაზღვრული პერსონალის მხრიდან განსახორციელებელი სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობის საათობრივი დატვირთვა. ეს ვალდებულებები გათვალისწინებულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ზემოაღნიშნული დადგენილება და კონკრეტული კონტრაქტები ადგენს პერსონალის კონკრეტულ ვალდებულებებს, რომლიდან გამომდინარეც შესაძლებელია დატვირთვის

შესრულების კონტროლი და პერსონალის შესაბამისი შეფასება.

უსდ-მ წარმოადგინა სპეციალური გამოკითხვის ფორმა, რომელიც ემსახურება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამოკიდებულების კვლევას როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე ფაკულტეტისა და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობისადმი. ამასთან, აღნიშნული გამოკითხვის ფორმა ეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის საფაკულტეტო საქმიანობასა და სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესებში ჩართულობის დონის შეფასებას.

უსდ-მ ასევე წარმოადგინა შეფასების კითხვარის ფორმა, რომლითაც მაგისტრანტი აფასებს მეცნიერ-ხელმძღვანელს.

გარდა ამისა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში იძებნება სტუდენტთა მხრიდან სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარის ფორმა.

უსდ-მ ასევე წარმოადგინა მის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტი Microsoft PowerPoint პროგრამის ფორმატში (2021 წელს შედგენილი დოკუმენტი).

ამასთან, ექსპერტები გაეცნენ უსდ-ის აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილე-ბისა და ჩართულობის შესახებ კვლევის ანალიზს (2017 წელს შედგენილი დოკუმენტი). აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ კვლევის შედეგები წარმოდგენილია 2018-2019 წლის პერიოდზეც.

აღსანიშნავია, რომ უსდ-ში მოქმედებს ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. დასწრების წესი პრაქტიკაშიც ხორციელდება, რასაც ადასტურებს უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმები (წარმოდგენილია 2017-2018 და 2019-2020 წლების ოქმები). აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ პერსონალის წარმომადგენლები რეალურად ესწრებიან ერთმანეთს, რის შედეგადაც დგება ოქმი და ფასდება კონკრეტული პედაგოგი. ოქმში ასახულია პედაგოგის შეფასება და მიცემული რეკომენდაცია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ COVID-19 ვირუსის პანდემიის პირობებში ურთიერთდასწრებები დროებით შეჩერებულია.

უსდ-ის მხრიდან პერსონალის შეფასების ფაქტი ასევე დადასტურდა ინტერვიუს პროცესში. კერძოდ, უნივესიტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ პერსონალის შეფასება რეალურად ხორციელდება, ხოლო შედეგები ჯამდება და ხდება მათი ანალიზი.

მისასალმებელია, რომ უსდ ასევე კრებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატებს, რაც ადასტურებს, რომ უსდ აკვირდება მათ პროფესიულ განვითარებას.

აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის ჭრილში, ასევე, საჭიროა განხილულ იქნეს უსდ-ის როლი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში, ასევე, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების

ხელშეწყობაში. კერძოდ, მნიშვნელოვანია შეფასდეს:

- ხორციელდება თუ არა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები;
- შექმნილია თუ არა უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა).
- მონაწილეობს თუ არა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

როგორც უკვე აღინიშნა, უსდ-ის სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალის ვალდებულება, იყვნენ სამეცნიერო მიმართულებით აქტიურნი. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი მოკლე ავტობიოგრაფიებით (CV) ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები სამეცნიერო მიმართულებით აქტიურნი არიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილია კონკრეტული თანხები.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ძალისხმევა სამეცნიერო კვლევების წახალისების მიმართულებით. უსდ-ის რექტორის 2018 წლის 4 აპრილის N01-04/13 ბრძანებით ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულმა პერსონალმაც. კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული სწორედ პროგრამაში ჩართული პერსონალის წარმომადგენელი გახდა.

უსდ-ის რექტორის 2018 წლის 27 ივნისის N01-04/31 ბრძანებით ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კიდევ ერთი შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადდა. საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის საერთო მოცულობა 30 000 ლარით განისაზღვრა.

უსდ-ის რექტორის 2019 წლის 24 იანვრის N01-04/5 ბრძანებით ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე კიდევ ერთი შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადდა. ამ შემთხვევაში კი ბიუჯეტის მოცულობა 45 000 ლარით განისაზღვრა.

უსდ-ში პერიოდულად იმართება ისეთი საჯარო ლექციები, რომლებიც ემსახურება პერსონალის განვითარებას. ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „სიძულვილის ენის დილემა: სად გადის ზღვარი დაცულ და აკრძალულ გამოხატვას შორის“.

აღსანიშნავია ისიც, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის

ფარგლებში უსდ-ის იურიდიული კლინიკის წარმომადგენლებისა და სამართლის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი.

ადამიანის უფლებების სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში უსდ-ში გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე ,,დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც სამართლებრივი პრინციპი და თავისუფლება".

ინტერვიუს პროცესში პერსონალის წარმომადგენლებმა გამოკვეთეს ასევე სამეცნიერო წერაში ჩატარებული ტრეინინგი, რომელიც, მათი მოსაზრებით, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა.

2019 წელს უნივერსიტეტში ასევე გაიმართა ტრენინგი თემაზე: „შეფასების თანამედროვე მეთოდები და ტესტების შედგენის მეთოდოლოგია“. ტრენინგი ჩაატარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნული ცენტრის ტრენერმა, განათლების ესპერტმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა.

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის ფარგლებში (JILEP) უსდ-ში ჩატარდა ვორქშოფი, რომელიც ითვალისწინებდა სამართლის დეპარტამენტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელის, კლინიკის პროფესორისა და სტუდენტების პრაქტიკული და სხვა უნარ-ჩვევების დახვეწას. ვორქშოფს უძღვებოდა PILnet-ის კლინიკის ექსპერტი, დიდი ბრიტანეთის იორკის სამართლის სკოლის კლინიკის ხელმძღვანელი. ვორქშოფის დასრულების შემდეგ, პროფესორმა კლინიკის წევრებთან კლინიკური პრაქტიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით დისკუსია გამართა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65(18/19) დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ინფორმაცია (CV);
- უსდ-ის მიერ შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დამოკიდებულების გამოკითხვის ფორმა;
- უსდ-ის მიერ შემუშავებული მაგისტრანტის მიერ მეცნიერ-ხელმძღვანელის შეფასების კითხვარის ფორმა;
- უსდ-ის მიერ შემუშავებული სტუდენტთა მხრიდან სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების კითხვარის ფორმა;

- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტი წარმოდგენილი Microsoft PowerPoint პროგრამის ფორმატში (2021 წელს შედგენილი დოკუმენტი);
- აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ კვლევის ანალიზი (2017 წელს შედგენილი დოკუმენტი);
- აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ კვლევის შედეგები (2018–2019 წლის პერიოდი);
- ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- პერსონალის სერტიფიკატები;
- უსდ-ის რექტორის 2018 წლის 4 აპრილის N01-04/13 ბრძანება „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“;
- უსდ-ის რექტორის 2018 წლის 27 ივნისის N01-04/31 ბრძანება „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“;
- უსდ-ის რექტორის 2019 წლის 24 იანვრის N01-04/5 ბრძანება „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“;
- საჯარო ლექციების გამართვის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- უსდ-ის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია აფილირებული პერსონალის მიმართ ისეთი წახალისების მექანიზმების არსებობა, როგორიცაა: ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

უსდ აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უსდ-ს აქვს იმიტირებული სასამართლო პროცესების დარბაზი, სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც სტუდენტს საშუალება აქვს, ბიბლიოთეკისაგან მოითხოვოს ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. უსდ-ის ბიბლიოთეკა ზრუნავს იმ ლიტერატურის დასკანერებაზე და სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მიწოდებაზე, რომელიც მანამდე მას არ გააჩნდა ასეთი ფორმატით. ასევე, მისასალმებელია, რომ უსდ-ის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოში არსებულ სხვა ბიბლიოთეკებთან და საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ისეთი ლიტერატურის გამოთხოვა, რომელიც არაა დაცული უსდ-ს საცავში.

უსდ სტუდენტს სთავაზობს იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობას (matsne.gov.ge), რომლითაც ისინი შეძლებენ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოძიებას. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით. უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია ისეთი სამეცნიერო ბაზები, როგორიცაა: Ebscohost, Jstore, Doaj, Cambride University Press და სხვ. მისასალმებელია, რომ Ebscohost ბაზაზე წვდომა სტუდენტს შინიდანაც აქვს. სხვა ბაზებთან მიმართებით უნივერსიტეტი მუშაობს, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა არა მხოლოდ უნივერსიტეტიდან, არამედ შინიდანაც. უსდ-ში გამოყოფილია სპეციალური სივრცე სამუშაო შეხვედრებისათვის, სადაც სტუდენ-ტებს შეუძლიათ, საქმიანი შეხვედრებით შეხვდნენ ერთმანეთს ან აკადემიურ პერსონალს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o უნივერსიტეტის სტრუქტურა; o მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; o ბიბლიოთეკის დებულება (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის დადგენილება №158); o სამეცნიერო ბაზები/ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; o მემორანდუმები/ხელშეკრულებები. o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც სტუდენტს საშუალება აქვს, ბიბლიოთეკისაგან მოითხოვოს ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. უსდ-ის ბიბლიოთეკა ზრუნავს იმ ლიტერატურის დასკანერებასა და სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მიწოდებაზე, რომელიც მანამდე მას არ გააჩნდა ასეთი ფორმატით. ამასთან, მისასალმებელია, რომ უსდ-ის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოში არსებულ სხვა ბიბლიოთეკებთან და, საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ისეთი ლიტერა-

ტურის გამოთხოვა, რომელიც არაა დაცული უსდ-ს საბიბლიოთეკო საცავში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-მ პროგრამის ფინანსური მდგარდობის დასასაბუთებლად სააკრედიტაციოდ წარმოადგინა 3 დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი არის ექსელის (Microsoft Excel) ფორმატში შედგენილი პროგრამის ბიუჯეტი. მეორე დოკუმენტი არის, უსდ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის N175 დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპების დასაბუთების შესახებ“. ხოლო მესამე დოკუმენტი არის საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა. უსდ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის N175 დადგენილებით დამტკიცებულ „აკაკი წერეთლის სახელმიწფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველ-ყოფის პრინციპების დასაბუთების შესახებ“ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დროს, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის გარდა, ასევე, გაითვალისწინება პროგრამის მატერიალური უზრუნველყოფის, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობისა და გამართულობის საკითხები. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, ზემოაღნიშნულის ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის ამაღლების მიზნით, სათანადო ინსტრუმენტის (Excel-ის ფაილის სახით) შემუშავება, რომელიც აერთიანებს და ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა მაჩვენებლებს

(იხ. დანართი 1) და მისი შევსების წესის განსაზღვრა.

კერძოდ: პროგრამის ხარჯის გაანგარიშება ხდება მისი სტრუქტურის შესაბამისად. ცალკე გამოიყოფა სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და პრაქტიკა. პროგრამის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშება ეყრდნობა იმას, რომ 1 კრედიტი = 25 საათს. სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის განსაზღვრას ეყრდნობა აკადემიური ხელფასისა და პრაქტიკის ხარჯის გაანგარიშება. ისეთი ხარჯები, როგორებიცაა: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასი, კომუნალური ხარჯები, აწსუ სტიპენდია და გადასახადები გამოთვლილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გაანგარიშებით, გასული წლების ფაქტობრივი ხარჯვის მოცულობისა და აკადემიური ჯგუფების მთლიანი რაოდენობის თანაფარდობით.

ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიულ აღჭურვილობაზე და სხვა ხარჯებზე გაწეული დანახარჯები, ასევე, გაანგარიშებულია 1 აკადემიურ ჯგუფზე, ოღონდ მათი მოცულობების დაზუსტებას ახდენენ ფაკულტეტები არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, რომლის ასახვა ხდება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებში.

პროგრამის მთლიან ხარჯში გათვალისწინებულია ის აქტივობებიც, რომლებსაც ფაკულტეტები ახორციელებენ მოზიდული რესურსების ფარგლებში. თუმცა, ეს დანახარჯები არ ზემოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრაზე მანამ, სანამ არ გაჩნდება მსგავსი ხარჯების უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების აუცილებლობა. აქვე, გაითვალისწინება ფაკულტეტების მიერ ეკონომიკური საქმიანობისა თუ საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსის კომერციალიზაციის შედეგად მოზიდული დამატებითი რესურსები და სიკეთეები.

გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და მოვლენების პრევენცირებისა და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით, პროგრამის მთლიან ხარჯს ემატება ე.წ. „რისკის დაზღვევა“, რომლის მოცულობა, მიმდინარე ეტაპზე, შეადგენს მთლიანი ხარჯის 10%-ს.

გაანგარიშებული ხარჯის მოცულობა იყოფა სწავლის ქირაზე, რაც გვაძლევს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის მაჩვენებელს. მისი გათვალისწინება ხდება ფაკულტეტების ხარჯვითი მოცულობების განსაზღვრისა და აკადემიური ხელფასების კორექტირებისათვის.“

შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და ადგენს პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შემუშავების პრინციპებს. მისასალმებელია, რომ უსდ-ს გააჩნია ბიუჯეტის დაგეგმვისა და შემუშავების პრინციპები.

უსდ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის N175 დადგენილებით დამტკიცებულ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპების დასაბუთების შესახებ“ დოკუმენტს თან ახლავს დანართი ექსელის (excel) ფორმატში, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯის გაანგარიშების ფორმას. ამ ცხრილში ჩვენ ვხედავთ, რომ ხარჯები დათვლილია 240 კრედიტის შესაბამისად 22 სტუდენტისაგან შემდგარ ჯგუფზე გათვლით. ცალსახაა, რომ ეს ფაილი მორგებულია ბაკალავრიატის პროგრამას და ჩვენ ვერ ვისარგებლებთ ამ დანართით

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად.

რაც შეეხება პირველ დოკუმენტს, ეს არის Microsoft Excel ფორმატში შედგენილი სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი. აქ უკვე საუბარია 120 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე. ცხრილში სხვადასხვა ხარჯი წარმოდგენილია სათაურით „ყოველწლიური ხარჯი“, თუმცა ხარჯები გათვლილია 120 კრედიტის შესაბამისად, და მოცულია პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტის შესრულების ხარჯებიც (390 ლარი).

ბიუჯეტში წარმოდგენილია ინფორმაცია კრედიტების, პროგრამის საათობრივი დატვირთვის და ხარჯების შესახებ. ხარჯების ნაწილი ჩაშლილია შემდეგ ნაწილებად: აკადემიური ხელფასი, პრაქტიკის ანაზღაურება, ადმინ. და დამხმ. პერს. ხელფასი, სხვადასხვა ხარჯი, კომუნალური, აწსუ სტიპენდია, გადასახადები, ინფრატრუქტურა, ინფრატრუქტურა ალტერნატიული წყაროებიდან, სხვა ხარჯი. ხარჯების წლიურ საერთო რაოდენობად მითითებულია 24 376.0. დოკუმენტში ასევე მითითებულია სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში, რაც შეადგენს 11 სტუდენტს.

ძნელი სათქმელია, თუ რეალურად რამდენ სტუდენტზეა გათვლილი აღნიშნული ბიუჯეტი. ექსელის დოკუმენტის პრაქტიკის ანაზღაურების გრაფაში ხარჯად მითითებულია 630 ლარი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამავე დოკუმენტში უსდ-ის მიერ პრაქტიკისათვის გადასახდელი თანხა 20 ლარს შეადგენს, გამოდის, რომ ბიუჯეტი გათვლილია დაახლოებით 31 სტუდენტზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში შეადგენს 11 სტუდენტს, რაც ნიშნავს იმას, რომ მინიმუმ ამდენი სტუდენტი უნდა სწავლობდეს პროგრამაზე, რომ დაიფაროს შესაბამისი პროგრამის განხორციელების წლიური ხარჯი. დოკუმენტში არ იყო მითითებული შემოსავლები და ბალანსი. ამასთან, ცხადია, რომ პროგრამის ხარჯი დამოკიდებულია მისი სტუდენტების ოდენობაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ პირველ კურსზე სწავლობს 38 სტუდენტი და ამდენივეა მეორე კურსის სტუდენტთა ოდენობა. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ 2021 წლის მონაცემებით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაზე ირიცხება ჯამში 38 სტუდენტი.

სხვადასხვა გაუგებრობათა აღმოსაფხვრელად ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

უსდ-მ დამატებით წარმოადგინა სამართლის სამააგისტრო პროგრამის ბიუჯეტი ექსელის (excel) დოკუმენტი, რომლის პირველი გვერდი იდენტურია მანამდე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ვერსიასთან, ხოლო მეორე გვერდზე წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი ერთი აკადემიური ჯგუფის მიხედვით.

მისასალმებელია, რომ ამ დოკუმენტში უკვე გათვალისწინებულია, სამეცნიერო/კვლევის, მათ შორის, სამეცნიერო მივლინებების, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნების, კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა ხარჯი.

თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტის დასაწყისშივე ვაწყდებით წინააღმდეგობას. შემოსავლების და ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლები გაანგარიშებულია 16 სტუდენტის მიღების

შემთხვევაზე, სტუდენტთა გრაფაში კი 19 სტუდენტს ვკითხულობთ.

ამ გრაფაში პრაქტიკის ხარჯი კვლავ 630 ლარია, რაც იმის გათვალისწინებით, რომ ერთ სტუდენტზე უსდ 20 ლარს განსაზღვრავს, ამ გზით ვიღებთ 31.5 სტუდენტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით 2021 წელს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხა 38 სტუდენტი. სავარაუდოდ პროგრამის განახლებული ბიუჯეტი დათვლილია იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს ჩარიცხული 38 სტუდენტი მოაზრებულია 2 ჯგუფად (38/2=19). თუმცა, პროგრამაზე რეალურად ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ზუსტი და სავსებით ხელშესახებია, 2021 წელს პროგრამაზე ჩაირიცხა 38 სტუდენტი.

უსდ-ის ადმინისტრაციის განმარტებით, პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

პროგრამის ბიუჯეტის დეტალური ანალიზი ვერ უძლებს კრიტიკას. ის გათვლილია 11 ჯგუფისაგან შემდგარი სტუდენტების საჭიროებებზე, ცხრილში ჩამოთვლილია წლიური ხარჯი, თუმცა, აქვე რატომღაც მეორე საწავლო წლის ხარჯებიცაა დამატებული (პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი), პრაქტიკის თანხა დათვლილია 31 სტუდენტზე (630/20 ლარი=31.5 სტუდენტს), გაუგებარია კვლევით კომპონენტზე გათვლილი 390 ლარი რამდენ სტუდენტზეა გათვლილი (11, 19 თუ 31,5), ამ დოკუმენტს არ ახლავს შემოსავლების ჯამი 11 სტუდენტზე და არც ბალანსი. აღნიშნული ბალანსი ახლავს მხოლოდ დამატებით წარმოდგენილი ბიუჯეტის მეორე გვერდს, რომელიც აცდენაშია პირველ გვერდთან.

მიგვაჩნია, რომ პროგრამის ბიუჯეტი ჩამოსაყალიბებელია უფრო კონკრეტულად. ბიუჯეტში დეტალურად უნდა აისახოს, თუ რა ხარჯები არის საჭირო პროგრამის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად თითოეულ წელზე და, ასევე, ჯამურად ორივე წელზე, სავარაუდოდ რამდენი სტუდენტი ისწავლის სამაგისტრო პროგრამაზე, რა იქნება პროგრამის ჯამური შემოსავალი თითოეულ წელზე და შესაბამისი ბალანსი.

ერთადერთი, რაც დოკუმენტაციიდან ნათლად ირკვევა, ეს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა და სწავლის საფასურია. ამ გზით ჩვენ შევძლებთ დავადგინოთ პროგრამის შემოსავალი თითოეულ წელზე, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ბუნდოვანია იმის გარკვევა, თუ რა ხარჯებია გასაწევი თითოეულ წელზე და ჯამურად მთლიანი პროგრამის განსახორციელებლად.

ინტერვიურების და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით პროგრამის შემოსავლები ფარავს პროგრამის განხორციელებისათვის არსებულ საჭიროებებს. თუმცა, საჭიროა ბიუჯეტის მეტად კონკრეტულად ჩამოყალიბება, ჩაშლა და სწორი ფინანსური დაანგარიშება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;

o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: o მიზანშეწონილია პროგრამის ბიუჯეტის ჩამოყალიბება უფრო კონკრეტულად. ბიუჯეტში დეტალურად უნდა აისახოს, თუ რა ხარჯები არის აუცილებელი პროგრამის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად თითოეულ წელზე და ასევე ჯამურად ორივე წელზე, სავარაუდოდ რამდენი სტუდენტი ისწავლის სამაგისტრო პროგრამაზე, რა იქნება პროგრამის ჯამური შემოსავალი თითოეულ წელზე, ორივე წელზე და შესაბამისი ბალანსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის **სამაგისტრო პროგრამის შეფასების პროცესი პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობით** წარიმართა. ამ მიზნით სამართლის დეპარტამენტის 2018 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე ჩამოყალიბდა თვითშეფასების ჯგუფი. მისი შემადგენლობა სხვადასხვა დროს იცვლებოდა და საბოლოოდ 2021 წლის 6 აპრილს ჩამოყალიბდა. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე **პასუხისმგებელი ჯგუფი (თვითშეფასების ჯგუფი) შეიქმნა 14 წევრის შემადგენლობით, გადანაწილდა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს შორის აქტივობები და გამოიყო კონკრეტული პასუხისმგებელი** პირები. ამ პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული აქტორი, კერძოდ: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული სპეციალისტი, სამაგისტრო პროგრამის ერთი სტუდენტი, ერთი კურსდამთავრებული და ერთი დამსაქმებელი. თვითშეფასების ფარგლებში უშუალოდ სამაგისტრო **პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობდა შესაბამის სამსახურებთან (მაგალითად, უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ა.შ.), შეფასების შედეგები** და შედეგების ანალიზი განიხილებოდა პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრებზე, რომლებზეც მიიღებოდა გადაწყვეტილებები შესაბამისი ცვლილებების შესახებ. როგორც დოკუმენტაციის შესწავლისა და **ინტერვიუების შედეგად დადგინდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა აგებულია პრინციპზე „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.“** ამ პრინციპის რეალიზაციისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: • *საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA);* • *კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);* • *მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა (ME-QA).* რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას (EP-QA), ის **ხორციელდება (ა) საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების, (ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და (გ) მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის** საშუალებით. სამართლის

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის რა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა, მესამე პროცედურას დაექვემდებარა, შიდა შეფასება კი სამ ეტაპად განხორციელდა:

1. *ჯერ განისაზღვრა ცვლილებები (იდენტიფიცირება);*
2. *შემდეგ შემუშავდა ცვლილებები და*
3. *მესამე ეტაპზე განხილვის შედეგად დამტკიცდა ცვლილებები.*

ამდენად, ხარისხის უზრუნველყოფის **სამსახური ამ პროცესს იწყებს შეფასებით, ხდება არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა, ხარვეზების აღმოსაფხვრ**ელად აუცილებელი ნაბიჯების დაგეგმვა, შემდეგ ეტაპზე - ხარვეზების შესავსებად დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმა, საჭირო ცვლილებების განხორციელება **(განახორციელე).** მოგვიანებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდება განხორციელებული ცვლილებების შედეგებს და ამოწმებს გამოყენებულ მექანიზმებს **(შეამოწმე),** მიღებული მონაცემებისა და შედეგების მიხედვით გამოყენებულ მექანიზმებთან ან ქმედებებთან დაკავშირებით კი ახორციელებს აუცილებელ ცვლილებებს პროცესის დახვეწის მიზნით **(განავითარე).** ეს პროცესი მოიაზრებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ ყველა სახის საქმიანობას, მათ შორის როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ისე მათ უწყვეტად მიმდინარეობას.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია **პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივა 2018 წლიდან უცხოელი პროფესორების მიერ საჯარო ლექციების ჩატარების** შესახებ. მათ 2018-2019 წლებში ჩაატარეს რამდენიმე საჯარო ლექცია აქტუალური პრობლემების ირგვლივ. ასევე, 2021 წელს ჩატარდა საჯარო ლექციები ბავშვთა უფლებების შესახებ ამ სფეროში ცოდნის გაღრმავების მიზნით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **ლექტორების შეფასება ურთიერთდასწრებისა და სტუდენტების გამოკითხვის მექანიზმების** გამოყენებით. ასევე, ყურადღება ექცევა დამწყები ლექტორ-მასწავლებლების სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრებასა და შედეგების მიხედვით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. როგორც ინტერვიუს დროს გამოითქვა, ურთიერთდასწრების კოლეგიალური პრინციპი, პანდემიის პირობების გათვალისწინებით, ვერ ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს ლექტორთა შეფასების ერთ-ერთი **ძალიან კარგი მექანიზმია და მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების დროსაც მისი გამოყენება.**

სასწავლო პროცესის **სრულყოფისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ჩატარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა,** შედეგების გაანალიზებას მოჰყვა ცვლილებებზე მუშაობა და ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე რეკომენდაციების დამტკიცება. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვა. გარდა ამისა, უნივერსიტეტს **აქვს შემუშავებული კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის პოლიტიკა, რომლის მიზანი**ა როგორც მათი სწავლის პერიოდში არსებული ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრა, ისე მათი აქტიური მონაწილეობა საუნივერსიტეტო საქმიანობაში კურსდამთავრებულთა

გამოცდილების გაზიარებისა და კარიერული წინსვლის მიმართულებით. ანალოგიური ეტაპების დაცვით შემუშავდა წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია კვლავ **შეფასდა დაინტერესებულ აქტორთა მხრიდან, მათი რეკომენდაციების** გათვალისწინებით, პროგრამაში შევიდა ცვლილებები და პროგრამა გადამუშავდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესახებ“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის №157 დადგენილება; o ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა; o აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ“; o კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები; o განხორციელებული აქტივობები; o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ლექტორთა შეფასებისთვის პანდემიის დროსაც იყოს ურთიერთდასწრების მექანიზმი გამოყენებული, დისტანციური სწავლების პირობების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **განვითარების პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება**. სწორედ ამ მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

აღსანიშნავია, რომ **პროგრამა აკრედიტაციის მისაღებად წარდგენილი იყო 2020 წლის ნოემბერს და შედგა ექსპერტთა ვიზიტი.** მათი მიგნებების შედეგად ჩამოყალიბდა რეკომენდაციები და რჩევები, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ კი 2021 წლის 26 მარტს მიიღო გადაწყვეტილება პროგრამისთვის ერთწლიანი პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. **ამ პროცესში გამოითქვა საყურადღებო რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა:**

- პროგრამის მიზნების შემუშავებას ყველა დაინტერესებული აქტორის (აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა პირთა) ჩართულობით;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის გადახედვას;
- პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტში სწავლის ყველა შედეგის აქტიური ზმნებით გადმოცემას;
- კურიკულუმის რუკაზე სწორად და სრულყოფილად იმ სასწავლო კურსების განსაზღვრას, რომლებიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე, და იმ დონეს, რა დონითაც ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგს;
- სავალდებულო სასწავლო კურსების მოდიფიცირებას ისე, რომ მათი ერთობლიობით უზრუნველყოფილი იყოს სამოსამართლო სამართლის, ქართული სამართლის ევროპეიზაციის, შედარებითი კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის სწავლება;
- რამდენიმე სასწავლო კურსის („საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, „ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, „მოწმის დაკითხვის მეთოდები სისხლის სამართლის პროცესში“) შეცვლას თემატიკის შესატყვისი კონკრეტული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიმართულებით, ასევე, ამ დისციპლინების სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკიდან გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში გადატანას;

- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში სტუდენტთა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების დაზუსტებას;
- ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში სტუდენტთა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ისე დაზუსტებას, რომ მათი ჯამი შეადგენდეს 750 საათს (30 ECTS);
- სამაგისტრო ხელმძღვანელის არჩევის წესის, ფუნქციებისა და მოვალეობების განსაზღვრას;
- რეცენზენტის უფლება-მოვალეობების ნათლად დარეგულირებას, რეცენზენტის მიერ გაცემული დასკვნის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრას;
- ბიუჯეტში აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის ფინანსური რესურსის განსაზღვრის შესაძლებლობას;
- დაინტერესებულ პირთა (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის) გამოკითხვას, შედეგების პერმანენტულ (წლების განმავლობაში უწყვეტად) ანალიზს;
- შიდა ხარისხის შეფასების პროფესში მონაცემთა, მათ შორის სტატისტიკური და რაოდენობრივი მაჩვენებლების, სწორად განსაზღვრას, შეგროვებას, ანალიზს და მიღებული შედეგების გამოყენებას;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისთვის, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარებას და სხვა.

ამ რეკომენდაციების **უმეტესობა გათვალისწინებულია. მათგან** აღსანიშნავია, რომ:

- დაინტერესებული პირების ჩართულობით შეიქმნა პროგრამა. ამ პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აქვე საგულისხმოა, რომ დამსაქმებლების მოთხოვნა იყო პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და პრაქტიკული საათების გაზრდა, რაც აისახა პროგრამაში;
- დაინტერესებულ აქტორთა აქტიური მონაწილეობით გადამუშავდა პროგრამის სწავლის მიზნები;
- პროგრამაში სწავლის შედეგების გადმოსაცემად გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომია და ისინი აისახა აქტიური ზმნებით;
- შემოვიდა სამოსამართლო სამართლისა და შედარებითი სამართლის სავალდებულო სასწავლო კურსები, დისციპლინებში იგრძნობა ქართული სამართლის ევროპეიზაციის ელემენტები;
- რამდენიმე სასწავლო კურსი („საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, „ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, „მოწმის

დაკითხვის მეთოდები სისხლის სამართლის პროცესში“) გადავიდა არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხაში რამდენიმე საგანში ინტეგრირების ან დისციპლინის სახელწოდებისა და სილაბუსის შინაარსის შეცვლის გზით, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებთან დაკავშირებით. • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდა სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები ისე, რომ მათი ჯამი შეადგენდეს 750 საათს; • პროგრამის სტრუქტურის დახვეწა-შევსებისთვის გამოყენებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის თსუ-ის, ასევე, უცხოური (ლატვიისა და ესტონეთის) უნივერსიტეტების ანალოგი პროგრამების დადარების მექანიზმი და სხვა. იგრძნობა, რომ **უნივერსიტეტმა იმუშავა წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმულ რეკომენ-დაციებზე.** ამასთან, გადადგმულია ნაბიჯები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს გვაძლევს დარჩენილი ორი-სამი მიგნების გაზიარების გონივრულ ვარაუდს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების მზაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამაგისტრო პროგრამა; o გარე ექსპერტის შეფასება; o თვითშეფასების ანგარიში. o სასწავლო კურსების სილაბუსები; o აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N157 დადგენილება „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესახებ“; o საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 26 მარტის N291514 გადაწყვეტილება; o მემორანდუმები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა, უნივერსიტეტში მოქმედებს **ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის** შეფასების პროცედურა (დადგენილება №49 (17/18)). მონიტორინგისა და შეფასების პროცედურის მიზანია ინფორმაციის მოძიება-შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და შედეგების შესატყვისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის **უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი** სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით, როგორიცაა:

- *ძირითად დაინტერესებულ აქტორთა (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები;*
- *პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების ანალიზი;*
- *სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;*
- *კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;*
- *სასწავლო კურსების შეფასება;*
- *კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი;*
- *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი;*
- *ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი.*

პირველ რიგში, გამოკითხვებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის მიზანია

პროგრამის განვითარება, სასწავლო პროცესის სრულყოფა და სხვა. **სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებელთა გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სემესტრის** ბოლოს, ხოლო დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა - ორ წელიწადში ერთხელ. გამოკითხვების პროცესს ხელმძღვანელობს როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველ-ყოფის სამსახური, ისე პროგრამის ხელმძღვანელი. მონიტორინგის დროს **(ა) გამოკითხვე-ბის ფარგლებში მიღებული მონაცემები გროვდება, (ბ) შედეგები ანალიზდება და (გ) ამის შემდეგ საჭიროებისამებრ გაიცემა რეკომენდაციები** უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ანალიზის შედეგები გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელსა და შესაბამის დეპარტამენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესორ-მასწავლებლებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას.

ასევე, **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა ითვალისწინებს ამ პროგრამების შეფასებისათვი**ს, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისთვის, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის განხორციელებას**. ამ პროცესში ჩართულია შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. **მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.** აღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა, დაიგეგმოს სასწავლო კურსთა სილაბუსებში ცვლილებების განხორციელება სწავლა-სწავლების მეთოდებთან, შეფასების სისტემასა და სასწავლო კურსის შინაარსთან დაკავშირებით. თუმცა დგინდება, რომ აუცილებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსის დახვეწის, რამდენიმე საგნის სილაბუსში **გამოსაყენებელი ლიტერატურის განახლებისა და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდების სათანადოდ ინტეგრირების მიმართულებით მონიტორინგის** გაძლიერება (დეტალურად იხ. 2.3 და 2.5 სტანდარტები).

გარდა ამისა, ფაკულტეტის ხარისხის **უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი აწარმოებენ კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს** დასაქმებასთან დაკავში-რებით. უნივერსიტეტს აქვს დადებული მემორანდუმები უცხოურ ორგანიზაციებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან ჩანს მათი ამოქმედების მზაობა. აქვე საყურადღებოა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს **მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება როგორც თვითშეფასებისა და ანგარიშგების**, ისე მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურის გამოყენებით.

ამასთან, როგორც აღინიშნა, **„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“ და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების დახვეწას საჭიროებს.** ასევე, გასაძლიერებელია სამაგისტრო ნაშრომის შემოწმების მონიტორინგი (დაწვრილებით იხ. 2.6 კომპონენტი).

უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო **დაწესებულება დადგა ახალი გამოწვევების წინაშე და გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. ამ პროცესში გამოიყენება პლატფორმები:** Microsoft Teams და Moodle. მიმდინარე ეტაპზე სასწავლო პროცესი ეფუძნება ჰიბრიდულ მიდგომას. გაირკვა, რომ **ფაკულტეტებზე შექმნილია დახმარების ჯგუფები, რომლებიც აკადემიური ჯგუფების ფორმირებას უწევდა ორგანიზებას.** მოქმედებს სტუდენტთა

დახმარების სპეციალური პორტალი, რომლის საშუალებითაც ხდება ონლაინკონსულ-ტაცია და ვიდეოინსტრუქციების გზით სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მხარდაჭერა. ცალ-ცალკე არის გათვალისწინებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის აუცილებელი ინსტრუქციების განთავსება (www.online.atsu.ge და www.online.atsu.ge/lector/).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტის რექტორმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც დადგინდა, რომ სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნეს სწავლების დისტანციური, შერეული და ჰიბრიდული ფორმები, რაც ჯერ საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა, შემდეგ უკვე პრაქტიკაში გამოყენებულ იქნა.

აკადემიური პერსონალი 2019-2020 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში ახორ-ციელებს სწავლა-სწავლების პროცესს დისტანციურად სხვადასხვა ონლაინპლატფორმის (Microsoft teams, moodle) დახმარებით, ფაკულტეტის დეკანებს კი დაევალათ აკადემიური ჯგუფების მიხედვით ინფორმაციის მომზადება, სასწავლო პროცესში ჩართული პირების-თვის ინფორმაციის გადაცემა და პასუხისმგებელი პირის გამოყოფა აქტივობების მხარდა-ჭერის მიზნით. ასევე, დადგენილია, რომ ვიდეოლექციები განთავსდეს უნივერსიტეტის ონლაინსივრცეში, ვიდეოლექციებზე წვდომა კი სტუდენტებს ჰქონდეთ ნებისმიერ დროს. უნივერსიტეტში გაგრძელდა **დისტანციური სწავლება და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური ჩაერთო** დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადებისა და პერსონალის ტექნიკური მხარდაჭერის პროცესში.

ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი, მით უფრო, პანდემიის პირობებში. „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, **ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) განიხილება ადამიანის** პერსონალურ მონაცემებად. შესაბამისად, პანდემიის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა იყოს ასახული ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესში. ასევე, გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე. ცხადია, კარგია დისტანციური სწავლების წარმოებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებების არსებობა, მაგრამ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, **შემუშავდეს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის შესახებ ერთიანი დოკუმენტი და მან ასახოს სასწავლო პროცესის სრული ციკლი; სახელდობრ,** კარგი იქნება, **ასეთმა დოკუმენტმა,** გარდა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებებში ასახული მონაცემებისა, **მოიცვას დისტანციური სწავლების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებიც**, როგორიცაა: ა. ლექციის ვიდეოჩაწერის დასაშვებობა და დამსწრეთაგან ნებართვის მიღება; ბ. ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერების და/ან ფოტოების გამოყენება პერსონალური მონაცემების დაცვით და მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის; გ. შუალედური და ფინალური

გამოცდების (და არა მხოლოდ ლექცია-სემინარების) ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები და სხვა. **ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, ამ წინადადებების გათვალისწინება უნივერსიტეტს ხელს შეუწყობს, უფრო მეტად უზრუნველყოს ელექტრონული სწავლების ხარისხი და მართოს პანდემიით განპირობებული გამოწვევები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები o აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; o უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №49 (17/18) დადგენილება „პროგრამის შეფასების პროცედურის შესახებ“; o უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N49 (17/18) დადგენილება „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის შესახებ“ ; o საგანმანათლებლო პროგრამა; o თვითშეფასების ანგარიში; o უნივერსიტეტის ვებგვერდი https://atsu.edu.ge/; o უნივერსიტეტის სტრუქტურა; o სასწავლო კურსების სილაბუსები; o პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა; o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; o სტრატეგიული გეგმა; o ინტერვიუს ანგარიში; o უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარების, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვისა და ორგანიზებულად განხორციელების, ასევე, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისთვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ (2020 წლის 13 მარტის N01-04/21 ბრძანება); o მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, მონიტორინგის ღონისძიებები პრაქტიკაში ეფექტიანად იყოს გამოყენებული, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არსებული ხარვეზების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხისა და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის, შეფასების მექანიზმებისა და სილაბუსის დახვეწას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სასწავლო პროცესის სრული ციკლის ამსახველი ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი რეკომენდაციები და წინადადებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 71

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ბოგვერაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თათია უბერი

სახელი, გვარი, ხელმოწერა	მიხეილ ბიჭია
სახელი, გვარი, ხელმოწერა	გიორგი მახარობლიშვილი 
სახელი, გვარი, ხელმოწერა	ილია წიკლაური